მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი (იარი) №8 (366) (5772) 2012

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲓ!

ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 1 მაისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიღება – კონცერტი გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და ებრაული თემის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები.

საღამო საქართველოსა და ისრაელის ჰიმნების შესრულებით დაიწყო. შემდეგ კი ისრაელელმა პოპულარულმა ჯგუფმა „გაიამ“ სოლო პროგრამა წარმოადგინა და საკუთარი რიტმებით მთელი დარბაზი აიყოლია.

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ᲘᲪᲮᲐᲙ ᲒᲔᲠᲑᲔᲠᲒᲘ**:

— ებრაელ და ქართველ ერებს 26-საუკუნოვანი მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ, რომელიც დღესდღეობით ორი სუვერენული სახელმწიფოს შესანიშნავ, უკვე ოცწლიან ურთიერთობაშია გადაზრდილი. ამ მეგობრობის მიზეზი ორ ქვეყანას შორის არსებული მსგავსებაა. მძიმე ისტორიის მიუხედავად, საქართველომ და ისრაელმა ფენიქსის მსგავსად მოახერხეს ფერფლიდან აღდგომა და დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება ისრაელს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ისტორია ბიბლიიდან იღებს სათავეს და, სამწუხაროდ, ჰოლოკოსტის ტრაგედიაც გამოიარა. ისრაელს დღემდე უწევს ყოველდღიურ საფრთხეებთან გამკლავება და ამავდროულად, თანამედროვე, დემოკრატიულ და განვითარებულ სახელმწიფოდ რჩება.

გავესაუბრეთ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს **ᲑᲐᲗᲣ ᲫᲣᲗᲔᲚᲘᲐᲡ**: „პირველ რიგში ვულოცავ ისრაელის სახელმწიფოს ამ ღირსშესანიშნავ დღეს — დამოუკიდებლობის 64-ე წელს. ისრაელსა და საქართველოს შორის პარტნიორობა ძალიან მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში მდგარი პრობლემები გარკვეულწილად ისრაელის პრობლემების მსგავსია, ამ მსგავსებაში უსაფრთხოების საკითხებს ვგულისხმობ. ამ მხრივ ისრაელთან ვთანამშრომლობთ და გვსურს ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განვავითაროთ.

ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ

ისრაელელთა 69,9% ამაყია თავისი სამშობლოს გამო. როგორც ZMAN.com იტყობინება, ამას ინსტიტუტ „ახალი ტალღა“-ს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ამტკიცებს, სულ 500 ისრაელელი ებრაელი გამოიკითხა. 22.8% ამაყია, 3,9% ბოლომდე ამაყი არ არის, 1,2% კი საკუთარი ქვეყნით საერთოდ არ ამაყობს. 2,3%-მა არჩევანი ვერ გააკეთა.

82,7% -მა თქვა, რომ ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს სახელმწიფო დროშის გამოტანას აპირებს. 15,9%-მა თქვა, რომ ამის გაკეთებას არ აპირებს.

რაც შეეხება თვითიდენტიფიკაციას, 64,7% საკუთარ თავს ჯერ ებრაელად, ხოლო შემდეგ ისრაელელად თვლის. 20,7% თავს ჯერ ისრაელელად, ხოლო შემდეგ ებრაელად მიიჩნევს. 14,7%-მა ამ კითხვაზე პასუხი ვერ გასცა.

81,9%-მა თქვა, რომ ისინი ებრაელთა დიასპორებთან კავშირს გრძნობენ. 11,5%-მა ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხა.

74,3% მიიჩნევს, რომ ისრაელი საცხოვრებლად კარგი ქვეყანაა. 17,2% თვლის, რომ ისრაელი საცხოვრებლად კარგი ქვეყანა არ არის. 8,6%-მა აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ იცის.

20,2%-მა თქვა, რომ ყველაზე მეტად ისრაელში ხალხი უყვარს. 16,4%-ს ყველაზე მეტად საერთო ბედის შეგრძნება უყვარს. 13,15%-ს — ქვეყნის ნაციონალური ხასიათი, 9,4%-ს — ზღვის სანაპირო. 5,1%-ს — ამინდი, 5%-ს — ქვეყნის კულტურული ცხოვრება, 20,1%-ს — ბუნება და ხედები, 10,7%-მა არ იცის თუ რა უყვარს ისრაელში.

კითხვაზე: არჩევანის შემთხვევაში სად ისურვებდნენ ცხოვრებას? 80,1%-მა უპასუხა, რომ ისრაელში, 9,3%-მა უცხოეთში. 14,2%-მა არ იცის.

რაც შეეხება მღელვარების საკითხებს, გამოკითხულთა 12,9%-მა განაცხადა, რომ ყველაზე მეტად ეკონომიკური მდგომარეობა ანუხებს, 14,9% საზღვრების უსაფრთხოებითაა შეშფოთებული. 15,5%-ს — ირანის ბირთვული საფრთხე აწუხებს, 3,2%-ს — საერთაშორისო ურთიერთობები, 12,1%-ს — ანტისემიტიზმი მსოფლიოში, 13,5%-ს — ქვეყნის გზებზე უსაფრთხოების პრობლემა, 17,9%-ს — საზოგადოებაში ძალადობა და დანაშაულობები. 10%-მა კი არ იცის რა აწუხებს.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ...

სექტა „ნათურეი ქარტას“ აქტივისტებმა 26 აპრილს ბნეი-ბრაკში რელიგიური სკოლის „პენივეჟის“ შენობასთან იმპროვიზირებული აქცია გამართეს.

როგორც Orbita.co.il იტყობინება, დემონსტრაციის მონაწილეები ისრაელის სახელმწიფოს არსებობას აპროტესტებდნენ, აქტივისტებმა დაწვეს ისრაელის სახელმწიფო დროშა და ანტისემიტური ლოზუნგებით გამოვიდნენ.

აქტივისტები რელიგიური სკოლის „პენივეჟის“ ხელმძღვანელობამაც გააღიზიანა, რადგან ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით ისრაელის სახელმწიფო დროშა გამოკიდეს.

როგორც გამოცემა Ynet აღნიშნავს, „ნათურეი ქარტას“ რადიკალი აქტივისტების მხრიდან ხულიგნურ გამოვლინებებს ტრადიციულად დამოუკიდებლობის დღეს აქვს ხოლმე ადგილი.

სექტის ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ ორგანიზაციის წევრები სიონიზმისა და ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლებს გააგრძელებენ.

ᲯᲐᲛᲐᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

8 მაისს თბილისის „დამპალოს“ სასაფლაოს ღობის აღდგენა დაიწყო. მიმდინარე სამუშაოების შესახებ გვესაუბრება თბილისის ბეით-ქნესეთის გამგეობის წევრი სოსო აჯიაშვილი.

— ბატონო სოსო, როგორ დაიბადა ამ პროექტის დაწყების იდეა?

ᲡᲝᲡᲝ ᲐᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: როდესაც ბანძიდან ისრაელში წასულმა ებრაელებმა საკუთარი საყოფაცხოვრებო პირობები მოიწყეს და ფეხზე დადგნენ, ჰქონდათ დიდი სურვილი, აქ დატოვებული წინაპრების სასაფლაო მოეწესრიგებინათ. ეს საქმე მათგან ერთ-ერთმა ითავა და თავისი მიზანი ახლობელ ადამიანებს, ნათესავებს გააცნო. ამ საქმეს სათავეში აბრამ ჯანაშვილი და ეფრემ აჯიაშვილი ედგნენ. მათი ავტორიტეტი ბანძელთა დიასპორაში იმდენად მაღალი იყო, რომ იდეას წარმატება ხვდა წილად — შეგროვდა გარკვეული თანხა. ბანძის სასაფლაო მათი ძალისხმევით გაკეთდა. ეს დიდი, მადლიანი საქმეა. ბანძის სასაფლაოს გაკეთებას დაახლოებით სამი წელი დასჭირდა. რამდენიმე ეპიზოდს მოვყვები იმ პერიოდიდან. ეს მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება და ამავე დროს, აღვნიშნავთ თუ როგორი ურთიერთობაა ქართველებსა და ებრაელებს შორის. ეს ხდებოდა 90-იან წლებში, მაშინ, როდესაც საქართველოში ძალიან არეული სიტუაცია იყო — ძარცვა, ყაჩაღობა — ყველანაირი უბედურება. თქვენ წარმოიდგინეთ, მე არაფერი შემხებია მიუხედავად იმისა, რომ ამის საფუძველი არსებობდა. მყავდა საკუთარი ავტომანქანა „კამაზი“ და ფოთიდან ბანძაში სასაფლაოს შემოსაღობად მასალა მიმქონდა. მილიციის ფორმაში გადაცმულმა საეჭვო პირებმა გაგვაჩერეს, დარწმუნებული ვარ, მანქანის წართმევა უნდოდათ, შემდეგ გაიგეს, რაც მიგვქონდა და მათმა უფროსმა გაკვირვებით გვითხრა:

— ქვეყანას ცეცხლი უკიდია და თქვენ წინაპრების საფლავები გახსოვთ? კარგი ხალხი ხართ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-7 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

გივი ღამბაშიძე – დაბადებიდან 70 წელი

ფრიად მოხარული ვარ, ჩემს ძვირფას მეგობარს, კოლეგას, საქართველო-ისრაელის ურთიერთობათა განმტკიცების დიდ მოამაგეს პროფ. გივი ღამბაშიძეს მივულოცო დაბადების 70 წელი.

ეს მართლაცდა, ღირსსამახსოვრო საიუბილეო თარიღია, განსაკუთრებით იმ პირისათვის, რომელიც ესოდენ თავდადებული შემართებით უძღვება საქართველოს ებრაელთა მუზეუმის მუშაობას ჩვენს საყვარელ დედაქალაქ თბილისში.

გივი ღამბაშიძის წვლილი შეტანილი ქართულ-ებრაული მრავალფენოვანი თემატიკის განვითარების საქმეში, წარმოჩინდება არა მარტო მისი ცხოვრებისეული ქარგიდან, – შესანიშნავი ქართული ოჯახი, რომლის სტუმარიც არაერთხელ გახლდით, – არამედ იმ გულწრფელი და უზადო დამოკიდებულებიდან, რომელსაც იგი იჩენდა და იჩენს ჩვენი მშობლიური სიძველეების დაცვისა და შემდგომი შესწავლის მიზნით, როგორც საქართველოში, ასევე ისრაელშიც.

ჩვენ გვსურს ხაზი გავუსვათ გივი ღამბაშიძის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას, კავკასიის ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის განხრით; გამოქვეყნებული მონოგრაფიები, სტატიები, ნარკვევები ცხადლივ მიანიშნებენ მათი ავტორის ანალიტიკურ ნიჭსა და გამჭრიახობაზე.

ღამბაშიძისეული წამოწყებისა და სათაოსნო ღონისძიებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში აწ განსვენებულ ვიცე-პრეზიდენტს, აკად. ანდრია აფაქიძესთან, დრ. შალვა წიწუაშვილთან და რიგ სხვა კოლეგებთან. მათი პირველი სტუმრობები და ექსპედიციები ისრაელში, მონაწილეობა გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაზვერვო სამუშაოები და გასვლები ქართული სიძველეების, ნაშთების, ეკლესია-მონასტრების აღნუსხვის ასპექტით, მნიშვნელოვან წილად განაპირობებს დღეისათვის აღებულ ორიენტაციას ამ განხრით.

ასევე მივუთითებდით გ. ღამბაშიძის წვლილსა და ღვაწლზე, რუსეთიდან ქართველი მამულიშვილი მეფეების ნეშტთა გადმოსვენების თვალსაზრისით საქართველოში. იბერია-საქართველოს მეფენი ხომ ამაყობდნენ ისრაელის დავიდ – სოლომონიანთა დინასტიისადმი მიკუთვნებულობით, და გამართლებულადაც.

ისრაელი ფაქტიურად მეორე სამშობლოდ იქცა გივისთვის; მისი შეუფაკლავი სიყვარული წმინდა მიწისადმი, მისი სათნო და ყურადღებით აღსავსე დამოკიდებულება აქ შემორჩენილი სიძველეებისადმი, მისი აღტკინებული მიზანსწრაფვა გამოვლენილ და შესწავლილ იქნეს ყოველი, თითოეული ქართული ძეგლი, მონუმენტი, სვეტი თუ წარწერა, ყოველთვის იმსახურებდა და იმსახურებს ყველა ჩვენთაგანის აღფრთოვანებას და წამახალისებელ სტიმულს წარმოადგენდა შემდგომი სამუშაოების გაშლისათვის.

გივი ღამბაშიძე, როგორც პიროვნება და მეგობარი, როგორც ჩვენი ორი ქვეყნის – სამშობლოს უაღრესად სინდისიერი პატრიოტი, მრავლისმეტყველი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობებისათვის, მკვლევართა ახალი პლეადისათვის.



გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში გამომავალ სერიაზე „საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომები“ (გამოიცა რამდენიმე ტომი), რომელიც ჩინებული დადასტურებაა კეთილი ტრადიციის აღდგენა-გაგრძელებისა. ყოველივე ეს ბრწყინვალედ ეხმაურება და შარავანდედის შუქს ჰფენს მუზეუმის დამაარსებელთა და მეცნიერ-თანამშრომლების ნათელ ხსოვნას, რომელთა დასახელებაც ჩვენ შორს წაგვიყვანდა.

გივის დაუღალავი, ამოუწურავი ენერგია, კვლევითი მიზანდასახულობა, მისი ზრუნვა საქართველოს ებრაელთა მუზეუმის სათანადო რესტავრაციისა და გაფართოების მიზნით, გვარწმუნებს, რომ ამ საპასუხისმგებლო სფეროში ჩვენ გვეგულება პირნათელი და უმწიკვლო ადამიანი. მოდი ვიყოთ გულახდილნი ჩვენი სინდისის წინაშე: – განა კი არაა ყველა ჩვენთაგანის მოვალეობა, მხარში ამოვუდგეთ გივის ამ ზედმიწევნით საშვილიშვილო მემკვიდრეობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში?! – ვულოცავთ რა გ. ღამბაშიძეს ამ საიუბილეო თარიღს, გვსურს რომ დასმული კითხვა არ დარჩეს მორიგ რიტორულ კითხვად და გვინდა გამოვთქვათ იმედი, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა, ახალგაზრდობა, დამწყები მკვლევარი იტორიკოსები და ეთნოგრაფები საქმიანად ამოუდგებიან მხარში, საქართველოს ებრაელთა მუზეუმის ხელმძღვანელობას და პირადად გივი ღამბაშიძეს, დასახული მიზნებისა და გეგმების განხორციელებაში, რაც გულისხმობს არა მარტო მორალურ თანაგრძნობასა და სიმპათიების გამოხატვას, არამედ ქმედით და პრაქტიკულ მატერიალურ დახმარებასაც.

ისრაელ-საქართველოს ორი ათასწლოვანი ეპოპეა ჩვენს თვალწინ იქმნება და ხორციელდება, და ჩვენც ყოველგვარი პირმოთნე გადაჭარბების გარეშე ვიკითხავდით:

– განა კი არ ჩაიწერება შენი სახელი ამ ეპოპეაში, ჩემო გივი? – გივი ღამბაშიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა იმის საწინდარია, რომ ისევე როგორც საქართველოს მრავალტანჯვაგამოვლილ მიწაზე არ შეწყდება ებრაული მეტყველება და ზრუნვა ებრაული სიძველეების მოვლა-პატრონობისთვის, ასევე ჩვენს ერეც-ისრაელში არ მოიშლება ქართული ღაღადისი, შრომა და რუდუნება აქ არსებული ქართული სასულიერო ძეგლების პრეზერვაციისა და შესწავლისათვის.

კიდევ ერთხელ ვუსურვებთ ღირსეულსა და ამაგდარ მეცნიერს, მკვლევარს, პირად მეგობარსა და კოლეგას, პროფ. გივი ღამბაშიძეს წინსვლას, წარმატებებს, ჯანმრთელობას, ბედნიერება მის კეთილშობილ ოჯახს.

აკადემიკოსი **იცხაკ დავიდი**
ვაშინგტონი – თელ-ავივი
მაისი, 2012 წელი.

ქართული პალესტინიანა

იცხაკ დავიდი

(დასაწყისი იხ. „მ“ №6)

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ებრაულ დიასპორაში, ქრისტიანობის გავრცელებით გამოწვეულ ფართო რელიგიურ-სარწმუნოებრივ ძვრებზე, ნათლად მეტყველებს ძველ ეთიოპიური ფრაგმენტი, გადმოცემული, იძულებით მოქცეული ებრაელის, ვინმე იოსეფის მიერ. ფრაგმენტს ლაპარაკია ე.წ. აფრიგიისა და კართაგიის გამგებლის სარგის აბერგელის მოღვაწეობაზე (იმპერ. ჰერაკლე-ჰარაკალ მეფობის ხანაში). იმპერატორს, სარგისი აფრიგიისა და კართაგიის (კართაგენი) გამგებლად დაუნიშნია და უბრძანებია იქ მცხოვრები ებრაელების გაქრისტიანება (იხ. შარგის D'Aberge (Controverse judeo-christienne) Premiere assemblec, publ.et trad. par Sylvain grebaut, Patrologia Crientalis, t.III, fasc.,4;#I4;Turnhaut,I97I ,pp.556-558)

„როცა სარგისი აფრაგიის პროვინციაში მოვიდა უბრძანა ყველა ებრაელს, რომლებიც მისი გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდნენ, მასთან მისულიყვნენ. როცა მოვიდნენ, უთხრა მათ: — განა თქვენ არა ხართ მეფის მსახურნი, რომ მოისმინოთ მისი სიტყვა და ბრძანება მისი შეასრულოთ? — მათ უპასუხეს თავის მხრივ: მართლაც, ჩვენ შემწყალე ხელმწიფის მონანი ვართ. — მაშინ უთხრა სარგისმა მათ: — აი, მეფემ ბრძანა თქვენი მონათვლა მამის, ძისა და სული-წმინდას სახელით. — როცა მათ ეს სიტყვები მოისმინეს, დიდმა შიშმა შეიპყრო ისინი, შიშმა აიტანა ისინი და სიტყვის თქმა ვერ შეძლეს. სარგისმა ჰკითხა: — რატომ დუმხართ? — მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად იონამ, უპასუხა და უთხრა: — ჩვენ ამას არ ვიზამთ, რამეთუ ჯერ არ დამდგარა დრო ჩვენი მონათვლისა ტაძრის სასახლეში. სარგისი გაბრაზდა, დაიჭირა ის კაცი და დაარტყა. ასე მიმართა ამ ხალხს: თქვენ არ ყოფილხართ მონანი, რადგანაც თქვენი მეუფის ბრძანებას არ ასრულებთ. როცა მათ გაიგეს ეს, ისევ შეიპყრო შიშმა და ძრწოლამ. მსწრაფლ გასცა მან ბრძანება იძულებით მოენათლათ ისინი, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ღრმა სევდამ მოიცვა ისინი. ის, ვინც დაწერა ეს წიგნი, თქვა: აი, მე ვარ იოსეფი, ერთი იმ ებრაელთაგანი, რომელიც მონათლულ იქნა და ქრისტიანად ქცეული. ხელმწიფემ იცის, რომ დიდი ნაღველი დაგვეუფლა ჩვენ და დიდი ტანჯვა გამოვვლეთ, რადგანაც ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ მოვინათლეთ.

იაკობ მასწავლებელი. მაშინ, თავისი წყალობისა და სიუხვის კვალობაზე, მეუფემ შემწყალემ და კეთილშობილმა, რომელსაც თავის მონათა მშვიდობა და კარგად ყოფნა ეწადა, გამოგვიგზავნა კაცი განათლებული, მცოდნე კანონისა და წესისა, კაცი — სახელად იაკობი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნიდან იყო, აქოდ წოდებული ქალაქიდან. რაც შეეხება მას, წინასწარმეტყველთა მრავალი ნაწერი ჰქონდა წაკითხული; ის ჩვენს ქვეყანაში მოვიდა საცხოვრებლად, გაუყიდია თავისი ქონება და როცა გაუგია, რომ სარგისი ებრაელებს ნათლავდა, შეშინებულა, შეწუხებულა, შეუცვლია თავისი ჩვეულებები და ქრისტიანივით იქცეოდა. მაშინ მეუფემ გააგზავნა კაცი მისთვის ქონების შესაძენად. უნდა ეყიდათ სამი ხელი სამოსიც. როცა მოსაღამოვდა, მზის ჩასვლისას, მყიდველმა უთხრა მას. წადი დაბრუნდი სახლში და ხვალ მოდი, რათა გადაგიხადო შენი ქონებისათვის, მაშინ იაკობი დასცილდა მას... ფეხებმა ყალბი ნაბიჯი გააკეთეს; მან ებრაულ ენაზე წარმოსთქვა: — ადონაი, ადონაი, მოაგე ჩემსკენ წყალობა შენი. გაიგონა რა ეს სიტყვები სახლის პატრონი მიხვდა, რომ ის ებრაელი იყო, მაშინვე წავიდა გამგებელ სარგისთან და გადასცა ამ ებრაელის თავგადასავალი, რომელსაც ქრისტიანად მოჰქონდა თავი. მაშინ (სარგისმა) ბრძანა; მასთან მიეყვანათ იგი. როცა იაკობი მივიდა, უთხრა მას: — მოინათლე! — იაკობმა არ მოინდომა და თქვა. — ჯერ არ დამდგარა დრო ტაძრის სასახლეში მონათვლისაო. — (სარგისმა) მისი ციხეში ჩაგდება ბრძანა და იქვე დარჩა (იაკობი) 100 დღე. მერე გამოიყვანეს ციხიდან და უთხრეს: — მოინათლე! — მან ისევ უარყო და თქვა: — მე მზად ვარ ვიქნე ჯვარცმული და მოკლული, მაგრამ არასდროს არ მოვინათლები. — მაშინვე დაიჭირეს იგი და იძულებით მონათლეს.

01 ქრისტიანობა-იუდაიზმის საურთიერთო დიასპორიზაციის მინიატურული გამოვლინება

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის დამკვიდრებისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში მეტად ფასეული და მნიშვნელოვანი წვლილი ქართველმა მწერლებმაც შეიტანეს. ებრაული თემით დაინტერესებამ ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ძეგლებში იჩინა თავი და, ამ დროიდან მოყოლებული, ქართველ ებრაელთა ცხოვრებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა არაერთი ჩვენი მწერლის შემოქმედებაში დაიკავა საგულისხმო ადგილი. ებრაულ თემებზე დაწერილ მათ ნაწარმოებებში მკაფიოდ გამოხატული კეთილგანწყობილებითაა განსჯილ-გაანალიზებული ის პრობლემები, რითაც არა მარტო კონკრეტულად ქართველ ებრაელთა ყოფითი სინამდვილე ხასიათდებოდა, არამედ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში მიმოფანტული ამ მრავალტანჯული ხალხის ისტორიული და თანადროული ცხოვრებაც.

გაზეთი „მენორა“ დღევანდელი ნომრიდან იწყებს გამოქვეყნებას წერილების ციკლისას, რომელშიც მოკლედ იქნება წარმოჩენილი ებრაული თემა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

რუბრიკას უძღვება ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ცნობილი მკვლევარი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ხელმძღვანელი და ამ ორგანიზაციის ჟურნალ „ნოსტალგიის“ რედაქტორ-გამომცემელი, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი.

ებრაულობა ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში

საქართველოში ქართველი ებრაელობის მოსვლასთან და დამკვიდრებასთან დაკავშირებით ქართულმა საისტორიო და სასულიერო მწერლობამ არაერთი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა შემოგვინახა. მათი შესწავლა — და ქართულ სინამდვილესთან მიმართებით გაანალიზება შესაძლებლობას გვაძლევს თუმცა უწყვეტი თანმიმდევრობით არა, მაგრამ ზოგად ასპექტებში მაინც გავიაზროთ ჩვენს ქვეყანაში ებრაელთა მკვიდრობის ხანგრძლივი ისტორიის უმთავრესი მომენტები.

ამ თვალსაზრისით პირველ უმნიშვნელოვანეს ცნობებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.) და ლეონტი მროველის ისტორიული ქრონიკა (XI ს.) გვაწვდიან. როგორც ლეონტი მროველის მონათხრობით დასტურდება, ებრაელები საქართველოში პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ჩამოსახლებულან იერუსალიმიდან. თავიანთი ისტორიული სამშობლოდან ებრაელთა აყრისა და საქართველოში გადმოსახლების განმაპირობებელი მიზეზი ბაბილონის მეფის — ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა სამეფოს — იუდეასა და მისი დედაქალაქის — იერუსალიმის დაპყრობა იყო, რასაც შედეგად ებრაული სახელმწიფოს გაუქმება და მშობლიური მიწიდან ებრაელთა განდევნა მოჰყვა.

საკუთარი სამშობლოდან გამოძევებულ ებრაელთა ერთმა ნაწილმა, ლეონტი მროველის ცნობით, ქართლს მოაშურა და აქ პოვა მშვიდი — სამკვიდრებელი. ქართლში ჩამოსახლებული ებრაელები თავდაპირველად მცხეთის მახლობლად, მდინარე არაგვის ხეობაში, ზანავის წყაროს მიმდებარე იმ ტერიტორიაზე, დამკვიდრებულან, რომელსაც შემდგომში ხერკი დარქმევია სახელად.

საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლების მეორე ეტაპი ქართლის მეფის — ადერკის (ახ. წ. I ს.) შვილების — ბარტომისა და ქართამის ზეობის პერიოდში მომხდარა, რაც დაკავშირებული აღმოჩნდა იერუსალიმის ახალ დარბევასთან რომის კეისარ ვესპასიანეს მიერ.

საქართველოში ჩამოსახლებულ ებრაელთა უფლებრივ მდგომარეობაზე მსჯელობის დროს აქ „ქართლის ცხოვრებაში“ ხაზგასმით აღნიშნულ ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება — გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთაგან მათ პრივილეგირებულ გამორჩეულობას.

ლეონტი მროველის მატიანე არა მარტო საქართველოში ებრაელთა დაფუძნებასთან და ცხოვრებასთან დაკავშირებით გვაწვდის ფასდაუდებლად მნიშვნელოვან ინფორმაციას, არამედ იმ კეთილგანწყობითი ურთიერთობის შესახებაც, რომელიც ქართველებსა და ებრაელებს შორის დამკვიდრდა თავიდანვე. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოში ებრაელთა მკვიდრობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ლეონტი მროველის ცნობით, საქართველოში დამკვიდრებულ ებრაელებს, მიუხედავად კარგ პირობებში ცხოვრებისა, ისტორიულ სამშობლოსთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტიათ. ისინი სისტემატიურად იღებდნენ ცნობებს იქ არსებული ვითარების შესახებ და „ურიასტანში“ დარჩენილი მოძმეების ყოველ გასაჭირს საკუთარ ჭირადაც მიიჩნევდნენ.

„ქართლის ცხოვრება“ და ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლები ნათლად და გარკვევით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქრისტიანული სარწმუნოების პირველი მიმდევრები საქართველოში მცხეთელ ებრაელთა წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, ელიოზის დედა და და უნდა დავასახელოთ.

ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში იმ აქტიურ თანადგომასაც ესმება ხაზი, რომელიც წმინდა ნინოს აღმოუჩინეს ქართველმა ებრაელებმა ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისა და გავრცელების დროს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ საქართველოში რელიგიური მისიით ჩამოსულმა ნინომ (IV ს-ის 20-30-იანი წლები) ურთიერთობა, პირველ ყოვლისა, სწორედ აქაურ ებრაელებთან დაამყარა, რაშიც უდიდესი დახმარება ებრაული ენის ცოდნამ გაუწია.

ნინოს თანამდგომ ებრაელთაგან, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ებრაელთა მღვდელმოძღვარი აბიათარი და მისი ასული სიდონია უნდა დავასახელოთ. ქართლში მოსულმა ნინომ პირველად სწორედ მათ „უქადაგა სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“. აბიათარსა და სიდონიას მალე „ექუსნი დედანი ჰურიანიც“ მიემატნენ. ცოტა მოგვიანებით კი მათ სხვა ებრაელებიც მიემხრნენ.

ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად აღიარებით ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში ფაქტობრივად ახალი ეტაპის დადგომას დაედო სათავე. ამ დროიდან მოყოლებული, ის ებრაელები, რომლებიც არ გაქრისტიანდნენ, მცხეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაიფანტნენ საცხოვრებლად. ამ დროიდან მოყოლებული ებრაელები ფაქტობრივად მთელ საქართველოში გაიფანტნენ — ძირითადად ქალაქებში და დანარჩენი მოსახლეობისაგან რამდენადმე განცალკევებულ უბნებად დასახლდნენ. ასე განკერძოებულად ცხოვრება მათ საშუალებას აძლევდათ უფრო მეტად დაეცვათ და შეენარჩუნებინათ საკუთარი სარწმუნოებრივი და ეროვნულ-ყოფითი ადათ-ტრადიციები. როგორც ცნობილია, საქართველოში, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არც ერთ დროსა და არც ერთ ეპოქაში ებრაელებს ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არანაირი შევიწროება არ განუცდიათ და ეროვნულადაც და რელიგიურადაც ისინი სრულიად ხელშეუხებელნი იყვნენ როგორც ხელისუფლებისგან, ისე ადგილობრივი მოსახლეობისგან; ჰქონდათ სინაგოგები და საკუთარი სასაფლაოები.

მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში ქართველ ებრაელთა უდიდესმა ნაწილმა — მშობლიური — ებრაული ენა მაინც დაივიწყა და მისი ადგილი ქართულმა დაიკავა. ეს ფაქტი არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს არც საკუთარი სასწავლებლები ჰქონდათ, არც პერიოდული გამოცემები და არც სხვადასხვა სახის ებრაულენოვანი თავშეყრის ადგილები (გარდა სინაგოგებისა). ამ თვალსაზრისით ვითარების სასიკეთოდ შეცვლის ტენდენციას საფუძველი XX საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლებიდან ეყრება, როცა სათავე ედება ქართველ ებრაელთა ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლების პროცესის დაწყებას.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ებრაული დასახლებების მასობრივად გაჩენის ფაქტს ყურადღება პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია. კერძოდ, მის „აღწერაში“ ზუსტადაა დასახელებული ყველა ის დასახლებული პუნქტი, სადაც ქართველი ებრაელები იყვნენ დამკვიდრებულნი. ესენია: ატენი, ცხინვალი, თამარაშენი, სურამი, ახალდაბა, აწყური, ახალციხე, ჩიხორი, საჩხერე, ქუთაისი, ხოტევი, ონი, ოზურგეთი...

როგორც ვხედავთ, ებრაელები ფაქტობრივად საქართველოს ყველა კუთხეში იყვნენ დასახლებულნი. ვახუშტი მათი განსახლების ადგილის აღნიშვნასთან ერთად იქვე იმასაც ხშირად მიუთითებს, რომ ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საქმიანობის ძირითად სფეროს ვაჭრობა წარმოადგენდა.

ქართველი ებრაელები არა მარტო ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოფილან ჩაბმულნი, არამედ სამეფო კართანაც და დიდებულებთანაც შეძლებისდაგვარად დაახლოებულნიც. ამ დაახლოებას არსებითად უწყობდა ხელს მათი წარმატებული სავაჭრო საქმიანობა, რის შედეგადაც ებრაელთა ერთი ნაწილი საკმაოდ დიდი სიმდიდრის მფლობელიც გახდა.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიულ ფესვებზე საუბრის დროს აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება — ძველ საქართველოში ფართოდ დამკვიდრებულ თვალსაზრისს ბაგრატიონთა გვარის ღვთაებრივ-ბიბლიური წარმომავლობის შესახებ. ქართულ სასულიერო და საისტორიო მწერლობაში არაერთგზის გაუსვამთ ხაზი იმისათვის, რომ ბაგრატიონები დიდი ებრაელი წინასწარმეტყველების: მოსეს, დავითის, სოლომონისა და სხვათა პირდაპირი შთამომავლები იყვნენ. ამასთან დაკავშირებით პირველი ცნობა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (951 წ.) გვხვდება.

ზემოთ აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო ვრცლად და დეტალურად შეეხო XI საუკუნის მემატიანე სუმბატ დავითისძე. ბაგრატიონთა სამეფო გვარის ეს ცნობილი მეისტორიე თავის ნაშრომში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ ნომინალურად გვთავაზობს ქართველ ბაგრატიონთა სამეფო გვარის გენეალოგიას ბიბლიური ადამიდან ქართლში მათ მოსვლამდე და დამკვიდრებამდე.

როგორც ვნახეთ, ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში ებრაული საკითხების განსჯა-გაანალიზება არსებითად ბიბლიური თემატიკითა და ებრაელი ხალხის უძველესი ისტორიის იმ ეპიზოდების გახსენებით შემოიფარგლება, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში მათ მოსვლასა და დამკვიდრებას დაუდეს სათავე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები ძველი დროის ქართველ მწერალთა და მემატიანეთა ნაწერებში მხოლოდ ფრაგმენტულადაა გაანალიზებული, ისინი მაინც იძლევიან სათანადო მასალას საიმისოდ, ზოგად წახნაგებში გავიაზროთ ქართველ ებრაელთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

ქალბატონმა გენერალმა ვეი ივახშმა

ვაშინგტონში ჩატარდა აშშ ებრაელობის ტრადიციული ფორუმი, რომელზეც მიწვეული გახლდნენ სხვადასხვა ქვეყნის ებრაელი მოღვაწეები. ფორუმზე განიხილებოდა თანამედროვე ებრაელობის მნიშვნელოვანი საკითხები: ანტისემიტიზმი, ისრაელის უსაფრთხოება, ისრაელისა და დიასპორის ურთიერთობა, ირანის ატომური საფრთხე და სხვ.

გლობალურ ფორუმს მიესალმნენ ისრაელის პრემიერ-მინისტრი **ბინიამინ ნეთანიაჰუ**, (ვიდეო მიმართვა), გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **გვიდო ვესტერველი**, საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი **დიმირის ავრამოპულოსი**, კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრი **ერატო კოზაკოვ-მარკოლისი**, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჯონ ბაირდი**.

საფრანგეთის წარმომადგენელმა რიჰარდ ფრასგუერმა ისაუბრა ტულუზის ტრაგედიაზე,დაღუპულთა მოსახსენიებლად წაიკითხეს კადიში.

სტუმრებს თეთრ სახლში უმასპინძლა თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **იაკობ ლევმ**.

ფორუმის დახურვისას ითქვა:

—პატარა ქვეყნები თავს არიდებენ ხოლმე ასეთი ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი ისრაელს,ებრაელ ხალხს.

ეს გახლდათ მეტად სასიამოვნოდ მოსასმენი განცხადება.

„გლობალური ფორუმის“ მუშაობაში მონაწილეობდნენ მწერალი, გაზეთ „მენორას“ რედაქტორი **გურამ ბათიაშვილი** და თბილისის ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორი **ელენე ბერკოვიჩი**.

თავყრილობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ფორუმის პროგრამა გამომიგზავნეს. მაცნობებდნენ ტრადიციული, დიდი, საყოველთაო ვახშამი არ გაიმართება, ვახშამი ვიწრო წრეში იქნებაო. იქვე იყო მითითებული, თუ ვისთან იმართებოდა ვახშამი. ამოირჩიეთ თქვენ ვისთან ისურვებდით საღამოს გატარებასო. მითითებული გახლდათ რამდენიმე ადამიანის გვარი – ყოველი ამათგანი თანამედროვე ებრაულ სამყაროში ერთობ გამოჩენილი ფიგურაა — საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს ღირსეული წარმომადგენელი: მეცნიერები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი და სხვ. მე ისრაელის არმიის გენერალ ქალბატონთან — ავიტალ ლეიბოვიჩთან ვახშმობა ვირჩიე და აი, რატომ: გენერალი ქალბატონები არცთუ ხშირად გვხვდებიან, ეს წოდება მხოლოდ მამაკაცთა პრეროგატივაა, მეორეც: დიდ პატივს ვცემ ისრაელელ ფილოსოფოს ლეიბოვიჩს, იქნებ, ეს ქალბატონი იმ ჩინებული ფილოსოფოსის შვილი, ან შვილიშვილია? საინტერესო იქნება მისი მოსმენა, უსათუოდ საინტერესო!

მინდა მკითხველს ამ ვახშმობის თაობაზე ვუამბო. ამით იქნებ, დავანახო თანამედროვე ებრაული სამყაროს რაობა, ვაჩვენო ის, თუ როგორ ცხოვრობს დღევანდელი ებრაელობა, როგორ განიხლავს მის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემებს, როგორია მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ეს ჩემი სურვილია, თუმცა, ვშიშობ, რომ მიზანს ვერ მივაღწევ და აი, რატომ: იმ ვახშმობის არსი რომ გადმოსცე, მთელი საათნახევრის საუბრის სტენოგრამული ჩანაწერი უნდა დაბეჭდო, სტენოგრამა არ გაკეთებულა, რადგან ეს გახლდათ პრივატული საუბარი ვახშმითურთ, ან პრივატული ვახშამი დიალოგით. მაგრამ შევეცდები ზოგადად მაინც გადმოვცე საუბრის არსი, ვინძლო, მკითხველი თავად მიხვდეს, თუ რა საკითხი როგორ განიხილება დღეს.

იქნებ, უმნიშვნელო, მაგრამ ჩემი პირველი დიალოგი გენერალ ქალბატონთან:

– ძალიან პატივს ვცემ ფილოსოფოს ლეიბოვიჩს, საინტერესო მოაზროვნე გახლდათ. იქნებ, მისი შვილი ხართ, ან შვილიშვილი, არა, შვილი არ იქნებით, უფრო შვილიშვილი.

ავიტალ ლეიბოვიჩი ორმოციოდე წლის ტიპიური ისრაელელი ქალბატონია, ფერფლისფრად შეღებილ თმას წითელმანიკურიანი, მოგრძო თითებით ისწორებს და ღიმილით ამბობს:

– იმედი უნდა გაგიცრუოთ. არც შვილი ვარ და არც — შვილიშვილი, ლეიბოვიჩი ჩემი მეუღლის გვარია. არაფერი საერთო იმ ფილოსოფოსთან არ მქონია.

რაღას გავაწყობდი! ჩემი ადგილი დავიკავე და არ დავმალავ, ვინანე, რატომ სხვასთან არ ჩავეწერე სავახშმოდ – იქ პოლიტიკოსები, დიდი საზოგადო მოღვაწეები არიან, ალბათ, საინტერესო საუბარი იქნება-მეთქი. მაგრამ ჩემი სინანული დიდხანს არ გაგრძელდა – ზუსტად მანამ, სანამ ლეიბოვიჩი საუბარს დაიწყებდა.

ჯერ დარბაზის, თანამოინახეების თაობაზე (თანამოინახეებს ერთობ პირობითად ვამბობ: სუფრაზე ღვინის, არყის არც ერთი ბოთლი არ გაჭაჭანებულა).

ოთხკუთხედად გაწყობილ მაგიდას 20-25 ადამიანი უზის, ხანდაზმულნიც არიან და ახალგაზრდებიც, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ებრაელები. უფრო მეტი სამხრეთ ამერიკელია. სუფრაზე სალათა, პური და წყალი. მერე მოიტანეს მოხარშული ქათამი, ბოლოს კი ზოგს ჩაი, ზოგს – ყავა. ეს იყო და ეს!

პრეს-მდივანმა შეკრებილთ გააცნო გენერალ ავიტალ ლეიბოვიჩის ბიოგრაფია. ამის შემდეგ თავად ლეიბოვიჩმა ისაუბრა ისრაელის არმიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

და დაიწყო ის, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია და გადამაწყვიტინა კიდეც მკითხველისათვის მეამბნა ამ ვახშმობის თაობაზე: დაიწყო დიალოგი. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ებრაელებსა და ისრაელის არმიის გენერალს შორის. გენერალს ეკითხებიან სამხედრო სამსახურის მოტივაციაზე, თავიდათავი საკითხი გახლავთ ღაზას სექტორთან მიმართება.

საკითხების წრე:

— რამდენად მოტივირებულია არმიის ახალგაზრდობა — ჯარისკაცთა სექტორი. ხომ არ შესუსტდა არმიაში სამსახურის მოტივაცია?

— სამხედრო მოქმედება ღაზას სექტორში, რა განსხვავებაა ათი წლის წინანდელ და დღევანდელ ქმედებებს შორის?

— დღევანდელი გადასახედიდან რამდენად გამართლებული გახლდათ ღაზას სექტორიდან არმიის გამოყვანა?

— დღეს, მას შემდეგ, რაც ათ წელზე მეტი გავიდა, რამდენად სწორი გახლდათ ლიბანის საზღვრებიდან ჯარის გამოყვანა?

— როგორია პოლიტიკურ ლიდერთა ამა თუ იმ აქციის შედეგი — პოლიტიკოსები რომ ელექტორატის გულს იგებენ და პროგრესულ მოღვაწეებად მოსჩანან,ზოგ შემთხვევაში ისრაელის ტერიტორიების საზიანოდ, როგორ აფასებენ ამას სამხედროები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიშვლდება სასაზღვრო რაიონები?

— დღეს, 2012 წელს, არმია როგორ აფასებს ღაზას დეოკუპაციას, იმ ფონზე, რომ შედეგი არცთუ სახარბიელოა, დრამატულიც კი: იბომბება აშდოდი, აშკელონი.

— რა მოუტანა არაბულმა გაზაფხულმა ისრაელს: გვაძლევს თუ არა მშვიდობის გარანტიას თაჰრირის მოედნის რევოლუცია, გადატრიალება ტუნისში, ლიბიაში – ასე თუ ისე, კადაფი შეურიგდა ისრაელის სახელმწიფოს არსებობას, სადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ იქაც ისლამისტები რომ მოძლიერდნენ?

— რამდენად მოსალოდნელია „ხამასის“ რაკეტების რადიუსის გაზრდა და რას მოიმოქმედებს ისრაელი, იმ შემთხვევაში, თუ რადიუსი გაიზრდება – დაბომბვის საშიშროება დაემუქრებათ ისრაელის სხვა ქალაქებს?

— რამ განაპირობა ის, რომ ისრაელში აქტიურად დაისვა ქნესეთის ვადამდელი არჩევნების საკითხი და შეიძლება კი სახელმწიფომ, პოლიტიკური მანევრების გამო, თავისთავს ასეთი ხარჯების გაწევის უფლება მისცეს?

ერთი ცნობილი ავსტრიელი მოღვაწე განსაკუთრებულად დაინტერესებულია „ხამასისა“ და რუსეთის მეგობრობით. ორჯერ, ვგონებ, მესამედაც სხვადასხვა კუთხით დასვა ეს საკითხი, პერუელს კი ის აინტერესებს, თუ როგორია დღეს „ხამასისა“ და „ფათხის“ ურთიერთობა – ნუთუ, დრომ, აბუ მაზენის პრეზიდენტობამ არა-რა კორექტივი არ შეიტანა ამ ორი ტერორისტული ორგანიზაციის ძალთა თანაფარდობაში და „ფათხი“ კვლავ სუსტ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა?

ყველამ დასვა შეკითხვა – ზოგმა ორ-ორიც კი. მხოლოდ ერთი ქალბატონი ზის უხმოდ, ავადმყოფი ჩანს. ქალბატონ გენერალს ისეთ შეკითხვებსაც უსვამენ, რაზეც მას ალბათ, პასუხი არა აქვს

თანდათან იკვეთება:

იდეოლოგიური, პოლიტიკური თვალსაზრისით რაოდენ განსხვავებულია ებრაელობის დამოკიდებულება ისრაელში მიმდინარე პროცესებისადმი. აქ არიან არა ისრაელელი პოლიტიკოსები, არამედ, ავსტრიელი თუ ავსტრალიელი, ჩილელი თუ ბრაზილიელი, ეკვადორელი თუ ფრანგი ებრაელები, რომლებიც ერთნაირად მტკივნეულად აღიქვამენ ისრაელში მიმდინარე პროცესებს. აქ არის არა პოლიტიკური სპექტრი, აქ არის ისრაელში მიმდინარე პროცესებისადმი მათი მიდგომა – სხვადასხვაგვარი, ზოგჯერ დაპირისპირებულიც. ესენი ერთმანეთს, რასაკვირველია, არ უპირისპირდებიან, მაგრამ შეკითხვების რედაქცია, წინა შეკითხვის ქვეტექსტის კრიტიკასაც მოიცავს.

გენერალი ქალბატონი აუჩქარებლად, დინჯად პასუხობს ყოველ შეკითხვას,ზოგჯერ ერთობ გულუბრყვილოსაც კი. ცდილობს სერიოზულად განიხილოს ყოველი წარმოდგენილი საკითხი და მე უკვე მექმნება შთაბეჭდილება, მე უკვე ვხედავ, თუ როგორია თანამედროვე ებრაელობა: იგი ფლობს დიდ ინფორმაციას, აზროვნებს ძალიან ინტენსიურად, თითქმის ყოველი ამათგანის კითხვა მოიცავს საკითხთა ისეთ წრეს, რომ არა მხოლოდ გენერალი ქალბატონი, კითხვის მიმცემიც საინტერესო პიროვნებაა. შემკითხველთა უმეტესობა ის პიროვნებაა, იმდენ ცოდნას ამჟღავნებს, რომ სრულიად შესაძლებელია მოპასუხის ადგილას იჯდეს.

იქმნება ინტელექტუალური პორტრეტი თანამედროვე ებრაული სამყაროსი. და მე მიჩნდება ფიქრი: რასაკვირველია, თანამედროვე მსოფლიო ყოველდღიურ, განუწყვეტელ პროგრესს ყოველი ერის შვილების ინტელექტუალური ძალისხმევით აღწევს, იმას, რაც დღევანდელ მსოფლიოში იქმნება, ქმნიან ყოველი ერის შვილები, ცხოვრობენ ისინი აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, მზით გასხივოსნებულ თუ ყინულის საუფლოდ ქცეულ ქვეყნებში, ებრაელობაც ამათ შორისაა, ებრაელობაც თანამედროვე მსოფლიოს ის ნაწილია, რომელიც ყოველდღიურად ანვითარებს მას, ძალიან დიდი წვლილი შეაქვს კაცობრიობის განვითარებაში.

საათნახევარი მალე გაილია, გენერალი ქალბატონისაკენ გავაპარე მზერა. იგი მოღლილი შესცქეროდა ადგილებიდან წამოჭრილ ებრაელობას, რომელიც გასასვლელისაკენ მიემართებოდა.

მის წინ თეფშზე სალათა ხელუხლებელი გახლდათ.

დღეს, 2012 წლის 2 მაისს გენერალი ავიტალ ლეიბოვიჩი უვახშმოდ დარჩა, თუმცა, ერთობ მხნედ გამოიყურება — თავისი ერის შვილებთან დიალოგმა რწმენით, ძალით აღავსო.

გურამ ბათიაშვილი
ვაშინგტონი-თბილისი



ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მორალის თვალსაზრისით

შალომ დავიდი



საზოგადოებრივი კრიზისის მიზეზად, ჩვენს დროში, გვევლინება ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიის გაყოფა ორ ავტონომიურ სფეროდ. ამის შედეგად გადაულახავი ზღუდე აღიმართა მოქალაქეობრივ უფლებასა და ზნეობრიობას შორის, საზოგადოებასა და ჩვენი სამყაროს წმინდა არსს შორის.

ებრაულ საზოგადოებაში სამოქალაქო კანონები, რელიგია და ზნეობრიობა წარმოადგენენ მთლიან ერთიანობას. ღმერთის ბრძანება, კანონთა კოდექსში რომ რის გამოთქმული, თანაბრად ვრცელდება ადამიანის ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში.

ოჯახის კატასტროფული რღვევის პირობებში, საზოგადოებრივი და პირადი ურთიერთობებისას, თითოეულმა ადამიანმა, და განსაკუთრებით ებრაელმა, აუცილებლად უნდა შეიგნოს, რომ როგორც ღმერთმა შექმნა მატერია და ბუნების კანონები, ზუსტად ასევე შექმნა ადამიანი და მისთვის განკუთვნილი კანონები, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ საზომს, ცხოვრების ყველა სფეროში. ამ კანონთა იგნორირება – ნიშნავს საკუთარი თავის ღმერთისადმი დაპირისპირებას, რომ აღუკვეთო შენს თავს გააზრებული არსებობა.

ადამიანის სიყვარულიდან ღმერთის სიყვარულამდე

ღმერთმა ადამიანს უბრძანა იმისკენ ისწრაფოდეს, რომ მას ემსგავსოს. ისწრაფვის რა სრულქმნილებისაკენ, ებრაელი შესაძლებლობას აძლევს მასში აღბეჭდილ ღმერთის მსგავსებას, რომ გამოწიაღდეს. ღმერთისადმი სიყვარული ვლინდება, მისი ქმნილებისადმი სიყვარულში, ბუნებრივად და ყველაზე მეტი მოსალოდნელობით სად შეიძლება ეს სიყვარული განვითარდეს? ცოლისა და ქმრის ურთიერთობაში, შემდეგ კი – მშობლების, ბავშვისადმი დამოკიდებულებაში.

ღმერთისადმი სიყვარულს რომ მივწვდეთ, აუცილებელია განვიცადოთ ადამიანისადმი ჭეშმარიტი სიყვარული. ჩვენ თუ ნამდვილად გვიყვარს ისინი, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრება, შევიცნობთ, თუ რას ნიშნავს გამოთქმა: „გიყვარდეს შენი თვისტომი, ვით თავი შენი“, – ჩვენ შევიცნობთ ჭეშმარიტ სიყვარულს.

ღმერთისადმი სიყვარული წიაღდება ბავშვობის ადრეული გამოცდილებიდან. მშობლებისადმი სიყვარულით ჩვენში თანდათანობით იზრდება მადლიერების გრძნობა იმისადმი, რაც ჩვენ გვეწილებოდა ცხოვრებაში, და რომელიც საბოლოო ანგარიშში წარმოადგენს ღმერთისაგან მომდინარე წყაროს.

ოჯახის როლი

იმისათვის, რომ ცხოვრებაში მესამე გამოვიწვიოთ, საჭიროა, ორი არსება – განუყოფელ ერთარსებად გარდიქცეს. ამას თხოულობს ადამიანის შემოქმედების უმაღლესი ფორმა. მაგრამ ამით როდი მთავრდება ქმნილების დიადი დრამა. წარმოშობილისათვის აუცილებელია მამა და დედა, რომელნიც ერთად ცხოვრობენ ოჯახად, და ერთობლივად მონაწილეობენ მისი პიროვნების ფორმირებაში. ისტორიულად, ოჯახი წარმოადგენს ებრაული ცხოვრების წესის ძირითად ინსტიტუტს.

დიდი ხნის განმავლობაში ებრაული ოჯახი წარმოადგენდა ჰარმონიას, სიყვარულის და სტაბილურობის მაგალითს. ბიწიერება, რომელიც თიშავს და ანგრევს თანამედროვე საზოგადოებას – განქორწინება, გარყვნილება, ცოლ-ქმრული ღალატი, მცირეწლოვანთა დამნაშავეობა – თითქმის სრულიად უცნობია არაასიმილირებულ, ტრადიციების დამცველ ებრაელთათვის.

ებრაული კანონი ადამიანს ოჯახის შექმნას ავალდებულებს. თალმუდში ნათქვამია, რომ ადამიანს, რომელიც შედის მარადისობაში (საიქიო ცხოვრებაში) სამი შეკითხვა ეძლევა: იყავი თუ არა კეთილსინდისიერი, ალალ-მართალი, – ვაჭრობასა და აღებმიცემობაში? დროის მონაკვეთს თუ მიუძღვნიდი თორის შესწავლას? ოჯახი შექმენი? მარტოხელა ცხოვრება განიხილება, როგორც დიდი ტრაგედია, ხოლო კარგი ცოლი – უდიდესი ბედნიერება. განქორწინების მიღება შეიძლებოდა შედარებით ადვილად, მაგრამ ცოტანი სარგებლობდნენ ამ შესაძლებლობით. ებრაელებს, რომლებიც მიჰყვებოდნენ კანონის იდეალს, ჰქონდათ მტკიცე, ერთსულოვანი ოჯახები.

„ინაყოფიერეთ და იმრავლეთ“ – წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მცნებას. ეს მცნება რომ შეასრულოს, თითოეული ებრაელი მამაკაცი ვალდებულია ცოლი შეირთოს და დატოვოს შთამომავლობა. საქორწინო კავშირი წმინდაა და სიყვარული, რომელიც მამაკაცსა და ქალს ერთმანეთისკენ იზიდავს, წმინდაა ღმერთის წინაშე. ოჯახი – ღმერთის სავანეა, ის მას ეძღვნება.

ოჯახი ხელს უწყობს არა მხოლოდ მეგობრული ურთიერთობის დამყარებას მამაკაცსა და ქალს შორის, არა მარტო ბავშვების დაბადებასა და მათ გამოზრდას, არამედ პიროვნების ფორმირებას, საბოლოო ანგარიშში – კაცობრიობის სულიერ ფასეულობათა განვითარებას.

ადამიანის შექმნის შემდეგ ღმერთმა წარმოთქვა: „არაა კარგი ადამის მარტოდ ყოფნა. შევუქმნი მას შემწეს – უკუქმედს“.

თალმუდში ნათქვამია: „მამაკაცს მხოლოდ ცოლის დახმარებით ძალუძს გახდეს ადამიანი“.

რას წარმოადგენს ქორწინება

ჩვენთვის ნათელია, რომ ქორწინების ინსტიტუტი ყველგან და ყველას მიერ აღიარებულია. ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს ასეთი ერთსულოვნება ამ საკითხში. მაგრამ იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ქორწინების მნიშვნელობა, ვცადოთ მის აუცილებლობაში დაეჭვება.

მხოლოდ ქორწინება და ოჯახი რად უნდა შეადგენდეს საზოგადოების საფუძველს? თავისუფალი მამაკაცი რად ამბობს ნებაყოფლობით უარს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე, ცხოვრებას რად უკავშირებს მისთვის სრულიად უცხო ქალს?

რატომ სურს უცხო ქალი არჩინოს, უზრუნველყოს ის სახლ-კარით, ჩააცვას მას და გაზარდოს მისი ბავშვები? მამაკაცი რად ღებულობს თავის თავზე ტვირთად პასუხისმგებლობასა და მზრუნველობას? თანაც ნებაყოფლობით! ქორწინებისადმი სწრაფვა რაღაც განუზომლად დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი სექსუალური სწრაფვა, რომელიც ქორწინების ყველაზე ადვილად შესასრულებელ გარეგან მხარეს წარმოადგენს. ჩვენ გვსურს გვიყვარდეს და ამავე დროს ვუყვარდეთ. გვწადია დავაკმაყოფილოთ საკუთარი ღირსების გრძნობა, გვსურს გვქონდეს სახლი, რათა შევქმნათ მასში ოჯახი და გავზარდოთ ბავშვები. ქორწინება – ფუნდამენტია, რომელზეც ჩვენ აღვმართავთ ჩვენი ცხოვრების ნაგებობას.

ებრაული კანონი მიუთითებს ცოლის შერთვას, – და რამდენადაც ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია. ხანგრძლივი მარტოხელობა და თავის შეკავება მიიჩნევა უგუნურებად. თალმუდის თანახმად, „ის, ვინც უცოლოდ ატარებს დღეებს არა აქვს არც სიხარული, არც კურთხევა და არც სიკეთე მის ცხოვრებას“. არსებობს რიგი კანონებისა, რომლის მიხედვით, ებრაელი ქალი მსოფლიოს ქალთა შორის გვევლინება დედოფლად თავის სახლში. მამაკაცი, როგორი ღარიბიც არ უნდა იყოს, „მას ნაკლებად არ უნდა ეხმარებოდეს, უფრო ცუდად არ უნდა აცმევდეს, უნდა უფრთხილდებოდეს მის მეუღლებრივ უფლებას“.

ქორწინება და სექსი

ცოლ-ქმრული სიახლოვე კანონით არა თუ დაშვებულია, არამედ ის წარმოადგენს რელიგიურ მოვალეობას. ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად, მამაკაცისა და ქალის ერთობის გარეშე, და არა მარტო იმისათვის, რომ მათ ჰყავდეთ ბავშვები, არამედ იმისთვისაც, რომ ის აუცილებელია ინტიმური კავშირისათვის, რომელიც ოჯახს სულიერი და ფიზიკური თვალსაზრისით, ადუღაბებს განსაკუთრებულ მთლიანობად და ერთიანობად. სხვადასხვა ქრისტიანული და არაქრისტიანული მოძღვრებანი ამტკიცებენ, რომ ცოლ-ქმრობის ერთადერთი მიზანია – კაცობრიობის მოდგმის გაგრძელება; ებრაული კანონი ინტიმურ ოჯახურ კავშირში ხედავს უფრო ღრმა აზრს. თუნდაც იმ დროს, როდესაც განაყოფიერება შეუძლებელია, მაგალითად, ორსულობის დროს, ფიზიკური სიახლოვე მეუღლეთათვის აუცილებელია. კანონი მიუთითებს ფიზიკურ სიახლოვეს შაბათს და დღესასწაულებში, როგორც ამ დღეთა წმინდაყოფის ერთ-ერთ სახეობაზე. თალმუდში ნათქვამია: ქმარმა, გამგზავრების წინ, შინაგანად უნდა გაიხსენოს თავისი ცოლი. კაბალა გვასწავლის, რომ შეხინა (ღვთაებრივი მოვანება, დასწრება) ბინადრობს სახლში მხოლოდ იმ ჟამს, ოდეს ადამიანი ცოლიანია და ცხოვრობს ერთ სახლში თავის ცოლთან ერთად. თანახსა და თალმუდში არაერთგზის ხაზგასმულია, რომ ცოლისა და ქმრის სიახლოვე წარმოადგენს მცნების შესრულებას.

ფიზიკური სიახლოვე ახდენს მამაკაცისა და ქალის შეკავშირებას, გარდაქმნის რა მათ, ცხოვრების მოსიყვარულე თანამგზავრებად. ქალისა და მამაკაცის კავშირი – საიდუმლო გაზაფხულია, ჩვენს ყველაზე ღრმა მისწრაფებებს და უაღრესად მაღალ ოცნებებს რომ ასაზრდოებს. ეს კავშირი – ფიზიკური და სულიერი ქმნილების დასაბამია. ამრიგად, ქორწინება როდი წარმოადგენს მხოლოდ სოციალურ ინსტიტუტს, არამედ იგი ღმერთის მიერ განწმენდილი რელიგიური კავშირია. სწორედ ამად, ქორწინებას (ებრაულად) ეწოდება „კიდუშინ“ (წმიდაყოფა). ეს აზრი შესანიშნავად არის გამოთქმული საქორწინო „ხუფა“ – ბალდახინის ქვეშ მდგომი წყვილის წარმოსათქმელ ლოცვაში: „უფალო, დალოცვილი ხარ..., რამეთუ წმინდაგვყავ შენი მცნებებით და გვამცნე ინტიმურ ურთიერთობათა დაწყება, ის აუკრძალე დანიშნულ სასიძო-საპატარძლოს, ხოლო ნება დართე იმათ, რომელნიც წმიდა ქორწინებამ შეაკავშირა“. შემდეგ ნათქვამია: „დალოცვილი ხარ ღმერთო..., რომ შექმენი საქმრო და საცოლე, სიხარული და მხიარულება, სიყვარული და ჰარმონია, მშვიდობა და თანამეგობრობა..., დალოცვილი ხარ შენ, ღმერთო, ნეფე-დედოფლის გამხარებელო“.

კანონები „ცხიუთისა“ – ზნემაღალი სიწმინდისა, ჯერ კიდევ ქორწინებამდე ქმნიან თავშეკავებას, ურთიერთპატივისცემისა და თვითდისციპლინის ატმოსფეროს, და ამაში იმის გარანტიაა, რომ სწრაფვა დაფუძნებული იქნება სიყვარულზე და საურთიერთო ერთგულებაზე.

რა არის სექსი?

თორა უარყოფს არაებრაული სამყაროს კონცეფციას, ადამიანის სხეულსა და მის ფუნქციებში, რაღაც ბიწიერებას რომ ხედავს. სექსი არ არის ცოდვის სფერო. წარმოდგენა, ადამიანის სხეულისა და მის ფუნქციებზე, როგორც რაღაც ბიწიერზე, შეიქმნა წარმართთა ეპოქაში, ხოლო შემდგომ გადაბარგდა ქრისტიანობაში, მისი საშუალებით კი ევროპის კულტურაში.

თორა მიჰყვება სრულიად საპირისპირო თვალსაზრისს, – ის ადამიანში განამტკიცებს სიკეთეს, როგორც ყოველ ქმნილებაში. მამაკაცისა და ქალის ნატურა მის ბუნებრივ გამოვლინებაში სიდიადისა და მშვენიერების ნიმუშს წარმოადგენს, მასში შემოქმედმა რომ აღბეჭდა. გრძნობის ბუნება იარაღად ემსახურება ღვთიური ნების შესრულებას. გრძნობათა ბუნება – პოტენციური სიკეთეა, თუ ადამიანი მართავს მას და გამოიყენებს დანიშნული მიზნისათვის. ის ცეცხლის მსგავსია, რომელიც ადამიანს ემსახურება, ოდეს ის მის კონტროლს ექვემდებარება; მაგრამ შეიძლება ზიანი მოიტანოს, ან დაღუპვაც კი, თუ ის დამორჩილების ჩარჩოებს გასცდება.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოდან ალიის გაგასლების ისტორიიდან

(60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში)

დანიელ ისრაელაშვილი

ისრაელაშვილები წარმოშობით სუჯუნიდან არიან. არის ვარაუდი, რომ ისინი აქ მოვიდნენ ლეჩხუმის სოფელ ლაილაშიდან, რომელშიც ებრაელები, გამოქცეულნი დევნა-შევიწროებას, მრავალი ასეული წლის წინათ დასახლდნენ.

მეორე ვერსიის მიხედვით, ისინი მოდიან ახალციხიდან, საიდანაც გამოექცნენ მეზობელი თურქების ჩაგვრას. რაც შეეხება ლაილაშს, მინდა გავიხსენო ერთი თქმულება, თუ როგორ შეერქვა ამ ადგილს ეს ლამაზი სახელი.

თქმულება მოგვითხრობს, რომ საიმედო ადგილის მაძიებელ ებრაელებს აქ შემოაღამდათ. ყარბითის ლოცვის შემდეგ დაღლილებმა გადაწყვიტეს, ის ღამე იქ გაეთენებინათ. როცა დილით გაიღვიძეს და არე-მარე მოათვალიერეს, მოეწონათ ადგილი, გადაწყვიტეს იქვე დასახლებულიყვნენ და ეწოდებინათ სოფლისთვის ,,ლაილაში'', ივრითული სიტყვიდან ,,ლაილა'' - ღამე, ქართული სუფიქსის ,,ში''-ს დართვით, ე.ი. სიტყვა-სიტყვით ,,ღამეში''. მე-18 საუკუნის დასაწყისში, ლაილაშელ ებრაელთა ნაწილი თავად ფაღავას მიერ გადაყვანილ იქნა ბანძაში, ნაწილი კი – სუჯუნაში.

ცნობილმა ეთნოგრაფმა და მოგზაურმა იოსებ ჩორნიმ მოინახულა სუჯუნა და თავისი შთაბეჭდილებები გადმოგვცა წიგნში, რომელიც გამოიცა სანკტ-პეტერბურგში 1884 წელს. ამ წიგნში, იგი მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვდა ჩემს წინაპარს – აბრაჰამ ისრაელაშვილს. აბრაჰამს ჰყავდა მეუღლე – სიმხა და სამი ვაჟი – იაკობი, დანიელი და იცხაკი. 1892 წელს იაკობი მამასთან – აბრაჰამთან ერთად ამოვიდა იერუსალიმში. არის ვერსია, რომლის მიხედვითაც აბრაჰამის მამა – დავითიც მათთან ერთად ამოვიდა. დანიელი და იცხაკი დარჩნენ სუჯუნაში. მათი შთამომავლები ისრაელში 70-იან წლებში ამოვიდნენ.

იაკობი თავისი ოჯახით დასახლდა ძველ ქალაქში, გოდების კედლის სიახლოვეს და მან გახსნა ტექსტილის მაღაზია. 1897 წელს იაკობი თავის ქალიშვილთან ხაისარასთან ერთად გაემგზავრა საქართველოში და იქ დააქორწინა იგი. მიხაელ ისრაელაშვილზე. ახალგაზრდა წყვილი დარჩა საქართველოში, ხოლო იაკობი დაბრუნდა იერუსალიმში. იგი თავის ბიზნესში დიდ წარმატებებს აღწევდა – საქონელი ჩამოჰქონდა ინგლისიდან და თვითონ მანჩესტერშიც კი იყო წასული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1919) ხაისარა თავის შვილებთან ერთად მოვიდა იერუსალიმში 1922 წელს.

მისი ერთ-ერთი შვილიშვილი – დანიელი არის ამ სტრიქონების ავტორი.

1966 წელს აწ განსვენებულმა ოლღა აჯიაშვილმა, თავის მეგობარ ქალთან – სარა კოკიაშვილთან ერთად მოაწყო „ტიულ შორაშიმ“. საქართველოში ეს ვიზიტი შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოკლე ხნით შეამსუბუქა ქვეყნიდან გასვლა-შემოსვლის კანონები, მათ გემით იმგზავრეს უკრაინის ქალაქ ოდესამდე, იქიდან კი – საქართველომდე. მოინახულეს სოფლები და ქალაქები, სადაც ცხოვრობდნენ ებრაელები, მაგრამ მთავარი პუნქტი მაინც იყო სოფელი ბანძა, სადაც ოლღა აჯიაშვილი დაიბადა. ამ სოფლის, პრაქტიკულად ყველა მცხოვრები გამოვიდა მათ შესახვედრად. შეხვედრა იყო ხალხმრავალი, განმაცვიფრებელი და მეტად ამაღელვებელი. ასე განსაჯეთ, ბავშვებით და ახალგაზრდებით ხეების კენწეროებიც კი სავსე იყო, რათა ძვირფასი სტუმრებისთვის შეევლოთ თვალი. მას შემდეგ, რაც 1921 წელს ბოლშევიკებმა დაიპყრეს საქართველო, ისინი იყვნენ ერეც-ისრაელიდან პირველი სტუმრები, საინტერესოა, რომ ბანძის ორი სალოცავიდან ერთი სწორედ აჯიაშვილებს ეკუთვნოდა, მეორე კი – უფრო პატარა – სეფიაშვილებს. მათ პირდაპირ კი მდებარეობდა ებრაული სასაფლაო, რომლის ჭიშკარიც მორთული იყო მაგენდავითით და მის ქვეშ – ათი მცნების გამომსახველი ორი დაფით.

დამხვდურთა შორის იყო ხახამი ბეხორ ეფრემაშვილი, ვაჟი ხახამ ბენციონისა და შვილიშვილი რაფაელ ეფრემაშვილისა, რომლებიც დაიბადნენ იერუშალაიმში. როცა ხახამ ბეხორი იყო ბავშვი, მამამისი – ბენციონი ჩამოვიდა საქართველოში, რათა ემსახურა, როგორც რაბის. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, ისინი იძულებულნი გახდნენ დარჩენილიყვნენ საქართველოში. ხახამ ბეხორმა სთხოვა სტუმრებს, რომ დახმარებოდნენ ისრაელში ბიძასთან – მეირ ეფრემაშვილთან კავშირის დამყარებაში. მეირის ნათესავები ცხოვრობდნენ იერუშალაიმში, სწორედ მათი დახმარებით, ისრაელში დაბრუნების შემდეგ, ოლიამ დაადგინა მეირის მისამართი – ხაიფა, ალენბის ქ. 82 და გადასცა მას ხახამ ბეხორის წერილი. ამის შემდეგ, მათ დაიწყეს მიწერ-მოწერა და ამრიგად, აღდგა ათეულობით წლის წინათ გაწყვეტილი კავშირი.

ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ოჯახების გაერთიანების მიზნით, ნებადართული იყო საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრება უცხოეთში ახლობლებთან, თუ კი ეს უკანასკნელნი მათ გამოუგზავნიდნენ მოთხოვნას („ვიზას“). ამ კანონზე დაყრდნობით, როგორც პირველი ცდა, ბეხორმა გაუგზავნა მეირს კულაშელი მიხელაშვილების თხოვნა – წერილი. ესენი იყვნენ სამი ძმა – ხახამ მოშე, ხახამ იაკობი და ხახამ ბენ-ციონი. მათი დედა, ცოლები და ვაჟები, სულ 22 კაცი. ისინი ისრაელში ამოვიდნენ 1967 წ. (მას შემდეგ, რაც მეირმა გაუგზავნა მათ „ვიზა“), ექვსდღიანი ომის შემდეგ და დასახლდნენ ქვარ საბაში – რელიგიურ დასახლებაში.

მათ თან ჩამოიტანეს უამრავი თხოვნა ნათესავებისა და ნაცნობებისა, რომელთაც სურდათ ამოსულიყვნენ ისრაელში. ეს თხოვნები შეიცავდა ოჯახის წევრთა სიას, მათი დაბადების წლებისა და მისამართების მითითებით. ისრაელში, ებრაულ სააგენტოში („სოხნუთში“) გაიხსნა სპეციალური განყოფილება საბჭოთა კავშირიდან ალიისათვის, აქ მზადდებოდა „ვიზები“, რუსულ ენაზე, რომელნიც მოწმდებოდა ნოტარიულად და იგზავნებოდნენ საქართველოში. ბედნიერი ოჯახები აქ დიდი სიხარულით ღებულობდნენ მათ და აგზავნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, თბილისში, რათა მიეღოთ ისრაელში გამგზავრების ნებართვა.

მეირ ეფრემაშვილი იყო „გურჯების“ კომიტეტის წევრი, სწორედ მისი დახმარებით, კომიტეტის გზით, ძმებმა მიხელაშვილებმა დაამყარეს კავშირი საქართველოდან ამოსულ ოჯახებთან და მიიღეს მათი მისამართები.

მამაჩემს ჰქონდა მაღაზია თელ-ავივში, იაფოს გზაზე, ბეით-რომანოში. სწორედ ამ მაღაზიაში, 1968 წელს გავიცანი, საქართველოდან ახლად ჩამოსული კაცი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გამახსენდა, რომ ბებიაჩემი – ხაი-სარა მიყვებოდა სოფელ სუჯუნაში მათი ცხოვრების შესახებ, (ერეც-ისრაელში ამოვიდა 1922 წელს), ჯერ კიდევ მაშინ ვოცნებობდი მომენახულებინა საქართველო და შევხვედროდი ახლობელ – ნათესავებს. როგორც კი გავიგე ოლღა აჯიაშვილის საქართველოში მოგზაურობის შესახებ, შევხვდი მას და მიამბო თავისი შთაბეჭდილებები. ძალიან მომინდა საქართველოს მონახულება, თუმცა, საბჭოთა კავშირსა და ისრაელს შორის ურთიერთობების გამწვავების გამო, ეს ვერ მოხერხდა.

დროთა განმავლობაში მრავალი წერილი მივიღე თხოვნით, გაგვეგზავნა ვიზა, იყო დღეები, როცა მათი რიცხვი 50-60-ს აღწევდა. წერილის მიღებისთანავე მივდიოდი ებრაულ სააგენტოში, თელ-ავივში, იქ იბეჭდებოდა ისინი რუსულად და ნოტარიული დამოწმების შემდეგ, ვუგზავნიდი ადრესატებს. ამრიგად, ჩემი სახელი ცნობილი გახდა საქართველოს სხვადასხვა ებრაულ თემში. ამ ვიზების საფუძველზე უამრავი ებრაული ოჯახი ჩამოვიდა კულაშიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, თბილისიდან და დასახლდნენ რამლეში, ლუდში, ხოლონში, ბათ-იამში და სხვ. უეცრად საბჭოთა ხელისუფლებმა გადაწყვიტეს შეეჩერებინათ ალია.

არადა, იმ დროისათვის ბევრ ოჯახს გაყიდული ჰქონდა თავისი ავლა-დიდება, მათ დატოვეს სამსახურები, შედეგად ზოგ მათგანს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნათ ოჯახის რჩენაში. თვეების განმავლობაში „სირუვნიკები“ (отказники) ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და ბჭობდნენ, შექმნილი სიტუაციიდან თუ რა გამოსავალი მოენახათ. ამ მსჯელობების შედეგად წარმოიშვა აზრი, რომლის განხორციელების ინიციატივაც სამმა მათგანმა იკისრა – შაბთაი ელაშვილმა, ალბერტ მიხელაშვილმა და ბენ-ციონ იაკობაშვილმა. იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ გაეგზავნათ წერილები ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, ასევე ისრაელის წარმომადგენელთან გაეროში ბ-ნ იოსებ თეკუასთან და ისრაელის მთავრობის მეთაურთან – ქალბატონ გოლდა მეირთან. წერილების მნიშვნელობის გაზრდისთვის მათ დაურთეს კიდევ 15 ოჯახის მეთაურის ხელმოწერა. ამრიგად, შეიქმნა 18 (ხაი) ებრაული ოჯახის წერილი, რომელიც გაგზავნეს პარასკევ დღეს, ელულის თვის „ხეთ“ რიცხვში (22/08/1969), წერილი გამოქვეყნდა ისრაელის და მსოფლიოს სხვადასხვა ელექტრონულ, თუ ბეჭდვით საშუალებებში. ამ წერილს მოჰყვა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის ებრაელთა წერილები და დემონსტრაციები, შედეგად – მსოფლიოს არნახული ზეწოლა, რამაც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება გაენახლებინათ ალია.



Израелашвили Даниел
Иерушалаим, ул Алфаси 20
Израиль.

В И З О В

Я, нижеподписавшийся, Израелашвили Даниел, настоящим обращаюсь к соответствующим органам власти в Советском Союзе с просьбой о выдаче разрешения на выезд ко мне в Израиль на постоянное жительство:

моему дяде – Якобашвили Биссарион/Бенсион/ Шаломович, 1915 г.р.,
его сыну – Якобашвили Соломон Биссарионович, 1943 г.р.,
невестке – Джанашвили Виолетта Рубеновна, 1950 г.р.,
сыну – Якобашвили Давид Биссарионович, 1945 г.р.,
сыну – Якобашвили Бенгура/Бенгурион/ Биссарионович, 1945 г.р.,
дочери – Якобашвили Ребека Бенсионовна, 1957 г.р.,
невестке – Якобашвили Гулнара Иосифовна, 1950 г.р.,

проживающим в Груз. ССР, г. Тбилиси, ул. Барнова 91.

Моё материальное положение позволяет мне принять и обеспечить всем необходимым моих родных.

Надеюсь, что власти в СССР, верные гуманному принципу воссоединения семей, разрешат моим родным выехать ко мне в Израиль на постоянное жительство.

/Израелашвили Даниел/



29

პარიზი. 19 ოქტომბერი. 1977 წელ

ძვირფასო ბატონო დანიელ,

აღმაფრთოვანა თქვენმა წერილმა, თქვენმა ომახიანმა შემოძახებამ. ღმერთმაც ინებოს თქვენი სიტყვები მაღე განხორციელებულიყოს და თავისუფალ ხალხროვნებში მიგვეღოს ერთმანეთისთვის.

დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ ამდენი მუშაობა გასწიეთ შვიად გამახურლიახ და მერაბ კოხდავას სახარგებლოდ. მე არ ვიცოდი თუ ხაიდან გამოლიოდა ამის ინიციატივა. ამისთვის დაგიხვიეთ ის კითხვები.

ხაინდერეხოა თქვენი ცნობა ბატონ დავარაშვილზე. გამომიგზავნეთ, გეთაყვა, მისი მისამართი. აღბათ ახლა ღრმა მოხუცი იქნება. ხოხოვეთ, თუ შეუძლია, მომაწოდოს მისი მოგონებები ხალხროვნოს დამოუკიდებლობისთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ მადლობას გეტყვით გარჯისა და კეთილ ხურვი ღებისთვის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ხალხროვნელ ხიკეთეს არ დაგივიწყებთ.

გინდოდეთ წარმატებას ყოველ მხრივ.

მიგულვეთ მარად თქვენს ერთგულ მეგობრად,

თქვენი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
მთავარი რაბინის მ.შ.
აბიმელეხ როზენბლატი

ვიადრ

კვირის საკითხავი თავი „ბეჰარ“ დასაწყისში შმიტას მცნებაზე მოგვითხრობს. ნათქვამია: „და უთხრა გამჩენმა მოშეს სინას მთაზე: უთხარი ისრაელის შვილებს, როდესაც მიხვალთ მიწაზე, რომელსაც მე გაძლევთ თქვენ, უნდა დაისვენოს მიწამ.“ ამ ფასუქიდან ჩანს, რომ შმიტის მიცვა ერთმანეთთან აკავშირებს სამ სიწმინდეს – თორის სიწმინდეს, ისრაელის ხალხის სიწმინდეს და ისრაელის მიწის სიწმინდეს. ალბათ, ამიტომ სწავლობდნენ ჩვენი ბრძენები სწორედ შმიტას მცნებიდან იმ კანონს, რომ ყველა მცნება „ყველა მათი წესით და დეტალით სინას მთიდანაა“. რადგანაც ისრაელის მიწის მემკვიდრეობაში გადმოსაცემი ერთ-ერთი პირობაა შმიტასა და იოველის კანონების შესრულება. ამიტომაცაა, რომ სწორედ ყომერის თვლის პერიოდში იკითხება თავი, რომელიც ამ საკითხებს განიხილავს. რადგანაც სწორედ ყომერის დათვლა არის შავუყოთში თორის მისაღებად მზადების პერიოდი.

ამას გარდა, ეს მცნება აამაღლებს ადამიანის მიწასთან კავშირს. პირუტყვიც ხომ მიწისაგანაა შექმნილი. ადამიანს პირუტყვისაგან მისი შინაგანი მდგომარეობა, სრულყოფის შესაძლებლობა განასხვავებს. ისრაელის მიწა კი განსხვავებულია იმით, რომ მხოლოდ მისი დახმარებითაა შესაძლებელი ისრაელისათვის მცნებების შესრულებაში სრულყოფილების მიღწევა. ამის გაკეთება სხვა მიწებზე შეუძლებელია. ამიტომაც, შმიტას მცნება შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისრაელები ცხოვრობენ საკუთარ მიწაზე.

მაგრამ შმიტას მიცვა შეეხება არა მხოლოდ მიწას, არამედ ფულსაც. . .

ბრძანებითი მცნება გვეუბნება, რომ თუ ადამიანმა სხვა ადამიანს ფული ასესხა, მაშინ შმიტას წელიწადში ვალდებულია აპატიოს მას მთელი თანხის გადახდა. ერთ-ერთი ამკრძალავი მცნება ფულის გამსესხებელს უფლებას არ აძლევს შმიტის წლის დასრულების შემდეგ ადამიანს ვალის გადახდა მოსთხოვოს. მეორე ამკრძალავი მცნების მიხედვით არ ეძლევათ უფლება გამსესხებლებს არ ასესხონ ფული გაჭირვებულებს მხოლოდ იმის გამო, რომ შმიტას წელიწადი „აბათილებს ვალს“, როგორც იმ ვალს, რომელიც გაცემულია შმიტას წელიწადამდე, ასევე იმ ვალსაც, რომელიც თვით შმიტას, ანუ მეშვიდე წელსაა გაცემული.

თუ ვალის გამცემი იტყვის, რომ შმიტას წელი არ აბათილებს ვალს, მაინც მეშვიდე წლის დასრულების შემდეგ ვალი ბათილდება, რადგანაც კანონი გვეუბნება, რომ შმიტას წელი აბათილებს ვალებს. ხოლო ნებისმიერ პირობას, რომელიც ეწინააღმდეგება თორის კანონებს, არანაირი ძალა არ აქვს. თუმცადა, თუ ვალის გამცემი და მისი მიმღები ერთმანეთში შეთანხმდებიან, რომ ვალი უნდა დაბრუნდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია დააბრუნოს, ხოლო ვალის გამცემს – აიღოს თანხა. რადგანაც არაა აკრძალული კეთილი ნებით მივიღოთ ჩვენს თავზე ნებისმიერი ქონებრივი ვალდებულებები, მათ შორის ისიც, რაზედაც კანონი არ გვავალდებულებს.

თუ შმიტას წლის გასვლის შემდეგ ვალის ამღები (დამატებითი ახსნებისა და ვალდებულებების გარეშე) ცდილობს ვალის დაბრუნებას, ვალის გამცემი ვალდებულია უთხრას მას: „ვალი გაპატიე, და შენ არაფერი არ უნდა მომცე“. თუ ამ სიტყვების შემდეგაც მოვალე სურვილს გამოთქვამს მოცემული თანხის გადახდაზე საჩუქრის სახით, ვალის გამცემი ვალდებულია მიიღოს ეს თანხა. უფრო მეტიც, ბრძენები მიესალმებიან მათ, ვისაც არ სურს გამოიყენოს ვალის არ გადახდის საშუალება და აბრუნებს მას, თუმცა, ვალდებული არაა.

მცნება ვალის პატიების შესახებ არა მხოლოდ ფულად სესხებზე ვრცელდება, არამედ იმ ნებისმიერ საგანზე, რომელიც ნასესხები აქვს ადამიანს და იყენებს. შემდეგ კი აბრუნებს მათ მაგივრად სხვას – როგორც ეს ფულის შემთხვევაში ხდება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კვების პროდუქტების ან იმ საგნების გასესხება, რომელნიც ერთჯერადად გამოიყენება.

თუ სესხი აღებულია გარკვეული ვადით და მისი გადახდის ვადა მერვე წელს გადის, მაშინ ეს ვალი არ იქნება ანულირებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვალი გირაოთი გაიცემა, ის არ ანულირდება, რადგანაც გირაოთი საგნის მიცემა ნიშნავს იმას, რომ ფული გადაცვლილია ამ ნივთზე. მაგრამ თუ სესხის ამღები მის გამოსყიდვას მოისურვებს, მას შეუძლია ამის გაკეთება იმავე თანხით, რაც ისესხა.

ისინი, ვინც მაღაზიაში განვადებით იძენენ ნივთს, ვალდებულნი არიან გადაიხადონ მთლიანი თანხა და ეს ვალი შმიტას წელს არ უქმდება.

ხელფასი, ისიც კი, რომელიც არსებულ ვადაში ვერ გადაიხადეს, არაა სესხი და დამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს დაქირავებულს მეშვიდე წლის დასრულების შემდეგაც.

ვალის ამოღების აკრძალვა და სესხის ანულირება კერძო პირებს ეხებათ. რაბინთა სასამართლოს აქვს ვალის ამოღების უფლება და ამიტომ, თუ ვალის გამცემმა სესხის ამოღების უფლება რაბინთა სასამართლოს გადასცა და მისცა მათ ვალის დამადასტურებელი წერილები, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია გადაახდევინოს ვალი მევალეს მეშვიდე წლის გასვლის შემდეგაც.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებობს მეშვიდე წელს მისი ანულირების გამო ვალის არგაცემის აკრძალვა გაჭირვებულებზე, ადამიანის ბუნება ისეთია, რომ სისხლით ნაშოვნი თანხის გაცემა უძნელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას მას სამყაროს მბრძანელები, ყველაფრის მფლობელი და ყველა მისი შემოსავლის განმკარგავი ავალდებულებს. ებრაელი ხალხის წინამძღოლმა, „უხუცესმა“ ჰილელმა იმ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, რომ ებრაელები გაჭირვებულებისათვის შეწყვეტენ ფულის გასესხებას, ის კი აღმოჩნდება უკიდურეს მდგომარეობაში და არ ექნება საკვები, ხოლო ის, ვინც სესხს უნდა გასცემდეს, კანონს დაარღვევს, დაადგინა „პროზბოლი“. სიტყვა არის სამი სიტყვის შემოკლებული სიმბიოზი: „პროზ“, „ბოლეი“ და „ბოტეი“. ეს სამი სიტყვა ნიშნავს დადგენილება („პროზ“) ღარიბების სასარგებლოდ („ბოლეი“) მიმართული იმისაკენ, რომ იპოვონ ის ადამიანები, ვინც მისცემს მათ სესხს მდიდრის შევიწროების გარეშე („ბოტეი“), რომელიც თავის ფულის უკან დაბრუნებას შეძლებს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ის, ვინც რაბინთა სასამართლოს გადასცემს ვალის დასაბრუნებელ წერილებს იმ მიზნით, რომ სასამართლომ ამოიღოს მისი ფული მეშვიდე წლის დასრულების შემდეგაც.

როგორც ვხედავთ, თორა ადამიანისაგან მოითხოვს ამაღლდეს საკუთარ ბუნებაზე (გადალახოს საკუთარი ბუნება), რომლის მიხედვითაც ის მხოლოდ საკუთარ ქონებაზე ზრუნავს და მივიდეს იმ დონემდე, როდესაც ის სხვის კეთილდღეობაზე იზრუნებს.

(პირველი გვერდიდან)

არ შემიძლია არ ვისაუბრო ერთ მომენტზე, რომელიც ასევე ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობას ეხება. სასაფლაოსთვის თუჯის სხმულები უნდა ჩამოსხმულიყო, ამისთვის სპეციალური თუჯ-სამსხმელო ქარხანა არსებობს თბილისში. დირექტორმა კარგად მიმიღო, ჩემი პრობლემა გულთან მიიტანა, მაგრამ უარით გამომისტუმრა. იმ დროს სხვა დანარჩენთან ერთად ელექტროენერგიის მოხმარებაც იზღუდებოდა. ენერგიის გამოყენება ლიმიტირებული იყო, ამიტომ ვერ დამეხმარა. თუმცა, ერთი კარგი საქმე — ყალიბის გაკეთება შემომთავაზა. მე უცებ ვერ გავაანალიზე თუ რას მთავაზობდა ეს ადამიანი და უარი ვუთხარი. მან თავი გააქნია და მითხრა: როდესაც ყალიბი გაქვს, ჩათვალე რომ ნახევარი საქმე გაკეთებულიაო. შემდეგ მითხრა, რადგან ვერაფერში გეხმარებით, საჩუქრად სამ სამხმოვან ზარს გადმოგცემთ, სასაფლაოს შესასვლელში დაკიდეთ და ჩვენგან სამახსოვროდ გექნებათო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბანძის სასაფლაოს ღობის გაკეთების შემდეგ ეს იდეა თავში ჩამრჩა, როდესაც ბანძის სასაფლაოს ვაკეთებდი, ყველაფერს ვიდეოკამერით ვიღებდი. წელს ისრაელში ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინს — მოშე მიხელაშვილს შევხვდი, ჯამაათის სხვა მტკივნეულ საკითხებთან ერთად სასაფლაოს თემაც განვიხილეთ და ის მასალა ვაჩვენე, რომელიც ოცი წლის წინათ ბანძაში გადავიღე. იმის საჩვენებლად, რომ საქმის ადამიანებთან აქვთ საქმე და არა ყალთაბანდებთან. საერთო ენა გამოვნახეთ და სრული მხარდაჭერა აღმიქვა. პირობა მოგვცა, რომ პეტერბურგის, მოსკოვის, ანტვერპენის, ამერიკის სათემოებს ხმას მიაწვდენდა, გააცნობდა ჩვენს მიზანს და ისინიც შეძლებისდაგვარად დაგვეხმარებოდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს, ლტოლვილები საქართველოში მოწყალების სათხოვნელად შემოდიოდნენ, მათი გარკვეული ნაწილი ებრაელებით დასახლებულ სოფლებშიც მიდიოდა. ეს ამბავი რაბი ხახამ მოშეს ვუამბე, გაახსენდა და თვალზე ცრემლიც კი მოადგა. ლტოლვილთაგან ბევრი ებრაელიც იყო, მოდიოდნენ ჩვენთან სალოცავებში, მხოლოდ საკვებს და ღამის გასათევს ითხოვდნენ. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩვენს ჯამაათს ვინმესთვის დახმარებაზე უარი ეთქვას. ყველას ღირსეულად უმასპინძლდებოდნენ. ჩვენს მამებს, ბაბუებს, ღმერთმა თავის დროზე გამოცდა მოუწყო და მათ ეს გამოცდა პირნათლად ჩააბარეს. დღეს ეს სიტუაცია არ არის, მაგრამ არის სხვა პრობლემა — მამა-პაპათა სასაფლაოების მოვლა და გაფრთხილება. მიმაჩნია, რომ თუ ეს ვერ გავაკეთეთ, მართალნი არ ვიქნებით. ვცდილობ სანამ შემიძლია, ეს საქმე გავაკეთო. მატერიალური მხარდაჭერა მჭირდება.

მინდა ამ საკითხზე ქალბატონების ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილო. ქალებს ოჯახში ძალიან დიდი გავლენა აქვთ, მათ მინდა ვთხოვო, რომ გაიაზრონ თუ რამხელა საქმე კეთდება და მეუღლეებს მოუწოდონ, რომ ამ დიდ საქმეში წვლილი შეიტანონ.

— ვინ აფინანსებს ამ პროექტს?

— ჩვენ დავაარსეთ ფონდი — „წინაპართა ხსოვნა“. ბანკში ანგარიში გვაქვს გახსნილი და მსურველებს ფულის შემოწირვა შეუძლიათ. ეს ყველას გასაკეთებელი საქმეა და არა მხოლოდ ერთეულების. თბილისიდან ვიწყებთ, გვინდა მივხედოთ საჩხერის, ახალციხის, სურამის, აწყურის, კულაშის, სენაკის სასაფლაოებს. გვინდა ყველა პრობლემა მოვაგვაროთ: იქნება ეს ღობის გაკეთება, თუ სასაფლაოს გაწმენდა-დასუფთავება. დამპალოს სასაფლაოზე კი მთლიანად 480-500 მეტრის ღობეა გასაკეთებელი, რასაც დაახლოებით 40-45 ტონა თუჯის სხმული სჭირდება. გათვალისწინებული გვაქვს მთელ პერიმეტრზე ადგილ-ადგილ ჩავაყოლოთ კარები, რომ თავის წინაპრის საფლავზე მისვლა ყველამ მოხერხებულად შეძლოს.

— რამდენს შეადგენს პროექტის ღირებულება?

— მთლიან ღირებულებას ვერ ვიტყვი, რადგან შეიძლება დროთა განმავლობაში ეს მონაცემები შეიცვალოს. გვინდა, რომ ყველაფერი ფირზე აღვბეჭდოთ. როდესაც ჩავთვლი, რომ საკმაო მასალა დაგროვდა, ჯამაათს აუცილებლად ვაჩვენებ და დაინტერესებული ხალხი ნახავს, თუ რა გაკეთდა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

— რამდენ ხანს გასტანს ეს სამუშაოები?

— სამუშაო უკვე დაიწყო. თუმცა, წინასწარ ყველა დეტალი უნდა მოგვარდეს, რომ შემდეგ პროცესი შეუფერხებლად განვითარდეს. ახლა მაგალითად, მილების პრობლემას ვაგვარებ. თანამედროვე მილებს ძალიან თხელი კედლები აქვს, ჩვენ კი გვინდა, ყველაფერი ხარისხიანად და საშვილიშვილოდ გაკეთდეს. ამ წუთში რომ გვქონდეს მთელი პროექტის დაფინანსება ზაფხულშივე მოვრჩებით. მაგრამ, ვფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში მთელი თანხის მობილიზაციას ვერ მოვახერხებთ. ჩვენზეა დამოკიდებული ჩატარებული სამუშაო დასაწყის ეტაპზე რამდენად დამაჯერებელი იქნება, რომ ხალხსაც დავანახოთ თუ რისი გაკეთება შეგვიძლია.

განათლების სამინისტრო — ევრაზიის კონგრესი

25 აპრილს თბილისში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პროგრამის „ტოლერანტობა — ჰოლოკოსტის გაკვეთილები“ შესახებ. ევრაზიის ებრაელთა კონგრესს წარმოადგენდნენ — გენერალური საბჭოს მდივანი იოსებ ზისელსი, ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (საქართველო) დირექტორი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი ელენა ბერკოვიჩი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კი — განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინა ქურდაძე. მემორანდუმის გაფორმების მიზანი გახლდათ მხარეებს შორის თანამშრომლობა შემდეგ საკითხში: მომავალ თაობაში ეთნიკური და კონფესიული ტოლერანტობის განვითარება. დასახული მიზნის განხორციელება შემდეგი ღონისძიებების საშუალებით მოხდება:

სისტემატიური სასწავლო-მეთოდური სემინარების ჩატარება საერთო საგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის;

მოსწავლეების შემოქმედებით ნამუშევრებს შორის კონკურსის მოწყობა;

ახალგაზრდული კონფერენციების ჩატარება;

სარედაქციო-საგამომცემლო მოღვაწეობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შექმნის პროფესიონალურ სტრუქტურას —Teacher Professional Development Center (დირექტორი ბ-ნი გია მამულაშვილი), რომელიც ითანამშრომლებს ევრაზიის ებრაელთა კონგრესთან პროგრამის — „ტოლერანტობა — ჰოლოკოსტის გაკვეთილები“ საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმვასა და რეალიზაციაში.

პროგრამა „ტოლერანტობა — ჰოლოკოსტის გაკვეთილები“ არის სემინარული განათლების სისტემა არაებრაული საშუალო სკოლების ჰუმანიტარული საგნების მასწავლებელთათვის და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებისათვის დსთ-ს ქვეყნებში.

სემინარებში მონაწილე მასწავლებლები, აგრძელებენ და აფართოებენ საქმიანობას თავიანთ რეგიონებში, სასკოლო და კლასგარეშე პროგრამის მუშაობის ფარგლებში.

ყოველწლიური კონკურსები სასწავლო-კვლევით და შემოქმედებით სასკოლო სამუშაოებში თემაზე — „ისტორია და ჰოლოკოსტის გაკვეთილები“ სხვადასხვა ქვეყნებში VIII — XII კლასის მოსწავლეებს შორის ტარდება. სამუშაოები მოიცავს ჰოლოკოსტის სხვადასხვა ასპექტს და საერთაშორისო ტოლერანტობის საკითხებს. სემინარებსა და კონკურსებზე განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივ ისტორიასა და ტრაგედიას დაეთმობა.

ტოლერანტობის განვითარების ფარგლებში არაებრაულ სკოლებში ჰოლოკოსტის გაკვეთილების ჩატარება 1997 წელს დაიგეგმა. 2003 წელს კი ევრაზიის ებრაელთა კონგრესმა სხვადასხვა ქვეყნებში განახორციელა პროგრამა — „ტოლერანტობა — ჰოლოკოსტის გაკვეთილები“. კონგრესს საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია სემინარებისა და სასკოლო კონკურსების ორგანიზაციის საკითხში, ასევე მასწავლებელთა მომზადებაში, რაც გულისხმობს მოსწავლეების აღზრდას ტოლერანტობის პრინციპით.

ლექცია ქართველი ებრაელების შესახებ

კლუბმა „პირისპირ“, რომლის მთავარი მიზანი მოსკოველებისთვის სხვადასხვა ხალხის ცხოვრების გაცნობაა, 24 მარტს მორიგი შეხვედრა მოაწყო. ამჯერად ელექტორატის სტუმრებს ქართველი ებრაელების შესახებ უამბეს, წერს საიტი kavkaz-uzel.ru. ბიბლიისა და იუდაიზმის რუსულ-ამერიკული ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ კუპოვეცკიმ წაიკითხა ლექცია ქართველი ებრაელების ისტორიაზე, რაც ლეგენდის მიხედვით 2600 წელს ითვლის. მან აღნიშნა, რომ შუა საუკუნეებში ებრაელები მონობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ, ამასთან ერთად, მათი გაქრისტიანების სერიოზული მცდელობები არ ყოფილა.

საქართველოში ირანელი შაჰების თარეშმა, კუპოვეცკის სიტყვებით, ებრაელების აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში გადასახლება გამოიწვია. საქართველოში ცხოვრების განმავლობაში ებრაელებმა პრაქტიკულად მთლიანად შეითვისეს ქართული კულტურა, მაგრამ ამასთან ერთად თავს მაინც დამოუკიდებელ ერად გრძნობდნენ.

როგორც ლექტორმა აღნიშნა, ორი ერი ერთმანეთის გვერდი-გვერდ ყოველთვის მშვიდად ცხოვრობდა, თუმცა ბოლო წლებში მასიური ემიგრაციის შედეგად, ქართველი ებრაელების უმრავლესობა საქართველოდან გაემგზავრა. ამასთან ერთად, კუპოვეცკის მოგონებების მიხედვით, რომელმაც საქართველო ბოლოს 1982 წელს მოინახულა, ქართველი ებრაელები ბევრად უფრო თავისუფალნი იყვნენ, ვიდრე მათი თანამემამულენი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში.

„მე დავინახე აბსოლუტურად მოქმედი ებრაული სათემოები, რომლებმაც შეინარჩუნეს ტრადიციები და საკმარისად შეკრულნი იყვნენ“, — იხსენებს მარკ კუპოვეცკი.

ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის აღმასრულებელმა დირექტორმა დინა ელიგულაშვილმა ისაუბრა ქართველი ებრაელების დღევანდელობაზე. მისი სიტყვებით, იმის მიუხედავად, რომ ბევრი სათემო ემიგრაციის გამო აღარ არსებობს, თბილისში, როგორც წინათ, მოქმედებს სამი სინაგოგა, რომლებშიც სალოცავად ადგილობრივი ებრაელები დადიან. ამას გარდა, საქართველო თანდათანობით „ებრაული ტურიზმის“ ცენტრად იქცევა, ქვეყანაში ებრაული სიძველეების სანახავად ბევრი ისრაელელი ტურისტი ჩამოდის.

ელექტორატის სტუმრების შემადგენლობა ტრადიციულად ინტერნაციონალური იყო. ებრაელებისა და ქართველების გარდა, აქ იმყოფებოდნენ ჩეჩნები, უკრაინელები, აფხაზები, სომხები, ლეკები, თათრები და თითო-თითო სტუმარი საფრანგეთიდან და პოლონეთიდან.

(დასაწყისი მე-2 გვერდზე)

საქართველო-პალესტინის ისტორიულ ურთიერთობებში აისახა. ეს მოიცავდა ებრაელთა განფენა-დასახლებას საქართველოში (ვითარცა პოლიტიკურ-ეკონომიური მოვლენების შედეგს) და ქართველების ლტოლვას პალესტინისკენ, მათ მიერ საეკლესიო-სამონასტრო ცენტრების შექმნას (რელიგიურ-სარწმუნოებრივი ფაქტორის შედეგს).

იუდაიზმი და ქრისტიანობა დომინაციისათვის იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიაში. კონსტანტინე-ჰელენეს პროქრისტიანულ ტენდენციას, ხაზს უსვამს ერთი სომხური სვვინაქსარი. (იხ. Patrologia orientalis, t. YI, fase, 2, #27, le synaxaire armen. de Ter jsrael, II, I95I, p.2I4(Bayon) მათ (იგულისხმება ჰელენე და კონსტანტინე — ი.დ.) კიდევ სხვა მრავალი ეკლესია გააშენეს წმ. ბეთლემში, გამოქვაბულებში, ზეთისხილის მთაზე, დიდ სიონზე და იერუშალაიმში, ჩვენი უფლის განსახვის სხვა ადგილებში. და როცა ყველაფერი აშენდა, მაშინ წმინდა სულის შთაგონებით და იმავე ღვთისმოშიში იმპერატორ ჰელენეს სურვილით და იმავე დიდი იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებით, აქ მოიწვიეს წმ. მამების, პატრიარქებისა და წმ. ეპისკოპოსების მრავალრიცხოვანი საკრებულოები, რომლებმაც თავი მოიყარეს სამყაროს ყველა კუთხიდან, მათ თან ახლდათ მღვდლები და ეკლესიის მსახურთა დიდი რიცხვი, ასევე წმ. ასკეტები და ყველანაირი წოდების პირები, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ იერუშალაიმის პატრიარქ წმ. მაკარისთან.

კონსტანტინე-ჰელენეს პროქრისტიანული ტენდენცია, იმპერატორ იულიანეს პროიუდაისტურმა ტენდენციამ შეცვალა. სწორედ მან გასცა 363 წელს ბრძანება ძვ. მოოხრებული ებრაული ტაძრის აშენება-განახლების შესახებ. სპარსეთის კომპანიამ და მისმა სიკვდილმა, ბოლო მოუღეს ამ განზრახვებს.

მე-4 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ოთხივე მიმართულებით გავრცელებული ქრისტიანობის კვალდაკვალ იწყება ახლადმოქცეულთა პილიგრიმობა ნაზარეველის შობის ქვეყანაში: ბრიტანეთი, გალია, საქართველო, ეთიოპია, ინდოეთი, სპარსეთი, ჩამოდიოდნენ ყოველი მხრიდან (იხ. Jerusaleim, I973,43)

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართველები ერთ-ერთი პირველნი აშურებენ პალესტინას მე-4 მე-5 საუკუნეებში, მაშინ როცა იაკობიტები (მონოფიზიტი სირიელები) მე-6 საუკუნესი აარსებენ თავის სასულიერო ცენტრებს, კოპტები (ეგვიპტელი მონოფიზიტები) — მე-11 საუკუნეში, ნესტორიანები — მე-9-ში, სომხები (ძირითადად) — 1175 წლიდან, ბერძენი მელქიტები (ენით არაბნი, სარწმუნოებრ. მიმართ. — ბერძნები და რომისადმი დაქვემდებარებულნი) მე-15 საუკუნიდან, რუსები — 1858 წლიდან და ა.შ.

ამრიგად, პალესტინაში დროთა განმავლობაში ფოკუსირდა და ერთმანეთს გადაეხლართნენ სხვადასხვა ეთნოლოგვისტურ საფუძვლებზე წარმოშობილი, შიდარელიგიური ქრისტიანული მიმდინარეობანი, რომელთა შორისაც დამოკიდებულებათა და ურთიერთმიმართებათა სისტემა საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იყო. რელიგიური სქიზმის თვალსაზრისით ქართულ-სომხურმა სარწმუნოებრივმა ანტაგონიზმა თავის ასახვა ჰპოვა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და კერძოდ სირია-პალესტინის ყველა პუნქტში, ყველგან იქ, სადაც კი მოვიდნენ შეხებაში ქართველი და სომეხი ბერები ან საერთოდ ქართულ-სომხური ეკლესიები. რელიგიური სქიზმის გაცილებით ვრცელ ასპექტს წარმოადგენდა საქმეთა ვითარება, საერთო ქრისტიანულ სამყაროში. კათოლიკეთა და ლათინთა დამოკიდებულება ორთოდოქსი ბერძნებისადმი და ქართველებისადმი. (იხ. Diction. de tceologie catcall., I920,t.6,pp.I258,I27I-I272; etc. ვრცელი ბიბლიოგრაფია აღნიშნულ საკითხზე cyril Toumanoff,studies in christian caucasian history,I963,pp.50I-523)

(გაგრძელება იძნება)

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003